



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ვაროს ტერტერიან

**“აშშ-ის როლი ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების
უზრუნველყოფის საკითხში”**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო
ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:
გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი, ნიკა ჩიტაძე

თბილისი - 2019

ანოტაცია

ენერგეტიკული ფაქტორი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა საერთაშორისო ურთიერთობებში და ფაქტია, რომ დღესდღეობითაც ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც დიდი ქვეყნების ეროვნული ინტერესების დაცვაში, ისე მთელი რიგი სტრატეგიული გეგმების განხორციელებაში. მე-20-ე საუკუნის პირველ ნახევარში, რომლის კულმინაციაც იყო მეორე მსოფლიო ომი, ენერგოუსაფრთხოების კონცეფცია მჭიდროდ დაუკავშირდა სამხედრო მიზნებისთვის საწვავის მიწოდებას. მე-20-ე საუკუნის პირველ სამ მეოთხედში ენერგოუსაფრთხოებისთვის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ნავთობმომარაგებისა და მიწოდების დაცვა, რასაც სასისიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ჯარისა და ეკონომიკისათვის.

დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების ფონზე აშშ-დან ევროპაში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების საკითხმა და ამ გზით ევროპის მიერ რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირებამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. ევროკავშირისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია რუსეთის ენერგეტიკული გავლენისგან თავის დაღწევა და ამ მიზნით, ის ცდილობს მოიპოვოს ენერჯის იმპორტის ალტერნატიული წყაროები.

ერთ მხარეს არის რუსეთი, რომელიც ცდილობს საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად მაქსიმალურად აამოქმედოს თავისი ენერგეტიკული რესურსები. 2014 წელს რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია, რადგან სწორედ ყირიმის ნახევარკუნძულის სიახლოვეს მდებარეობს ფიქალური გაზის მნიშვნელოვანი საბადოები. მეორე მხარეს არის ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად ამუშავებს ფიქალური გაზის საბადოებს და ინტენსიურად ზრდის ნავთობის მოპოვებას, თუმცა აღსანიშნავია, რომ პრობლემად რჩება ზემოხსენებული ბუნებრივი რესურსების ტრანსპორტირება ევროპაში, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე.

The role of the US in ensuring the energy security of EU

ANNOTATION

The energy factor has always played a major role in international relations and it is a fact that it plays an important role in the defense of national interests, as well as in the implementation of numerous strategic plans. In the first half of the 20th century, which culminated in the Second World War, the concept of energy security was closely linked to supply of fuel for military purposes. The biggest problem for energy security in the first three quarters of the 20th century was the protection of oil supplies and delivery, which is of vital importance for modern troops and economies.

Transportation of natural gas from the US to Europe in the light of the confrontation between the West and Russia and in this way, the reduction of dependence on Russian gas in Europe has made the issue actual. For the European Union, it is important to get away from Russia's energy influence and so far, it is trying to find alternative sources of energy imports.

On one side is Russia, which is trying to maximize its energy resources for the realization of its own geopolitical interests. In 2014, the Crimean Peninsula was annexed by Russia and the main reason was that there is located an important deposits of shale gas. On the other side is the United States of America, which has been intensively cultivating the shale gas deposits in recent years and intensively increases oil production. However, it is worth it to mention that transportation of the above mentioned natural resources in Europe is quite problematic issue due to its geographical location.

Varos Terteryan

სარჩევი

| | |
|--|-------|
| შესავალი..... | 5-13 |
| თავი პირველი - ენერგეტიკის როლი მსოფლიო პოლიტიკაში..... | 14-15 |
| 1.1 ენერგეტიკული პოლიტიკის თეორიული ასპექტები და მისი როლი მსოფლიო პოლიტიკაში..... | 15-25 |
| 1.2 ენერგეტიკა, როგორც ეფექტიანი საგარეო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი..... | 25-29 |
| თავი მეორე - აშშ-ის ენერგეტიკული სტრატეგია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე..... | 30 |
| 2.1 აშშ-ის ენერგეტიკული სტრატეგია ჯორჯ ბუშ უმცროსის ადმინისტრაციის დროს..... | 30-35 |
| 2.2 აშშ-ის ენერგეტიკული სტრატეგია ობამას ადმინისტრაციის დროს..... | 35-43 |
| 2.3 შშ-ის ენერგეტიკული სტრატეგია ტრამპის ადმინისტრაციის დროს..... | 43-47 |
| თავი მესამე - აშშ-ევროკავშირის შორის თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში და რუსეთის ფაქტორი..... | 48-49 |
| 3.1 ევროკავშირის ენერგეტიკული რესურსების დივერსიფიკაციის პოლიტიკა..... | 49-56 |
| 3.2 ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებაზე ფიქალური გაზის ეკონომიკური და პოლიტიკური ზემოქმედების მიმოხილვა..... | 56-63 |
| 3.3 რუსეთის ფაქტორი აშშ-ევროკავშირის ურთიერთობებში..... | 63-73 |
| დასკვნა..... | 74-78 |
| ბიბლიოგრაფია..... | 79-87 |
| დანართები..... | 88-94 |

შესავალი

ენერგეტიკული ფაქტორი ყოველთვის გადამწყვეტ როლს თამაშობდა საერთაშორისო ურთიერთობებში. სწორედ ენერგეტიკის საშუალებით პატარა სახელმწიფოებს რიგ შემთხვევებში შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ დიდი ქვეყნების პოლიტიკაზე. ამის ნათელი დადასტურებაა 1973-1974 წწ. მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისი, რომელიც გამოწვეული იქნა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიერ გატარებული პოლიტიკით, როდესაც აღნიშნულმა ქვეყნებმა პროტესტი გამოხატეს აშშ-ს მიერ იომ-ქიფურის ომში ისრაელის მხარდაჭერაზე.¹ ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწორედ ენერგეტიკამ ითამაშა გადამწყვეტი როლი ცივი ომის დასრულებაში, როდესაც რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გატარებული ეფექტური ღონისძიებების ფარგლებში, კერძოდ საუდის არაბეთთან მოლაპარაკებების შედეგად, როდესაც მან დაიწყო ნავთობის მოპოვების მასშტაბების ზრდა, მსოფლიოში ნავთობის ფასი დაეცა, რამაც განაპირობა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის დასუსტება, სსრკ-ის შემდგომი დაშლა და ცივი ომის დასრულება.²

დღევანდელ მსოფლიოში ფაქტია რომ ენერგეტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს დიდი ქვეყნების ეროვნული ინტერესების დაცვაში და მთელი რიგი სტრატეგიული გეგმების განხორციელებაში. მაგალითისთვის, შეგვიძლია ავიღოთ რუსეთის ფედერაციის მიერ ბოლოდროინდელი აქტიური გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ინტერვენციები და ენერგეტიკული დიპლომატიის ინტენსიური გამოყენება ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხის გადასაჭრელად. პირველ რიგში უნდა

¹ Пивоваров Н., “Энергетический кризис 1973 – 1974 гг. в контексте противостояния СССР, США и стран Третьего мира“, Сайт "История государства", 23 Июнь, 2015
Источник: <https://statehistory.ru/5125/Energeticheskiy-krizis-1973---1974-gg--v-konteksteprotivostoyaniya-SSSR---SSHA-i-stran-Tretego-mira/>

² ჩიტაძე ნ., „ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008, გვ. 49
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11-10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.15&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.5.6.6>=1>

ავღნიშნოთ რუსეთ-ევროკავშირის შორის ენერგოდამოუკიდებლობის ზრდის ტენდენციები უკანასკნელ პერიოდში. ცნობილია, რომ ევროკავშირი წელიწადში 450 მლრდ. მ³ ბუნებრივ აირს მოიხმარს. ამავდროულად რუსეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი აირის რეალიზების 60%-ზე მეტი სწორედ ევროპის ბაზარზე ხორციელდება.³ 2018 წლის მონაცემებით „გაზპრომმა“ ევროპის ბაზარზე 200,8 მლრდ. მ³ ბუნებრივი აირის ექსპორტი განახორციელა.⁴

რუსეთი ცდილობს საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად მაქსიმალურად აამოქმედოს თავისი ენერგეტიკული რესურსები. 2014 წელს, როდესაც რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია, ერთ ერთი განსაზღვრელი ფაქტორი სწორედ იყო ყირიმის ნახევარკუნძულის სიახლოვეს მდებარე ფიქალური გაზის მნიშვნელოვანი საბადოების არსებობა. ასევე უკრაინასა და ბრიტანულ-ჰოლანდიურ კომპანია „როიალ დაჩ შელს“ შორის ცოტა ხნით ადრე გაფორმებული 10 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტი უკრაინის ტერიტორიაზე (პირველ რიგში შავი ზღვის შელფზე) ბუნებრივი აირის მოპოვების შესახებ.⁵

თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების ფონზე აშშ-დან ევროპაში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების საკითხმა და ამ გზით ევროპის მიერ რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირების საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის შესუსტებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საკითხებში. ისევ და ისევ აუცილებლობას წარმოადგენს რუსეთის

³ ჩიტაძე ნ., გეოპოლიტიკა, „უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ. 369

⁴ ООО «Газпром экспорт», Динамика реализации газа в Европу, Статистика поставок, 2018
Источники: <http://www.gazpromexport.ru/statistics/>

⁵ Balmforth R., Zhdannikov D., „Ukraine signs landmark \$10 billion shale gas deal with Shell“, Reuters: Business News, 24 January, 2013 <https://uk.reuters.com/article/uk-shale-ukraine-idUKBRE90N11S20130124>

ენერგეტიკული გავლენისგან თავის დაღწევის მიზნით ევროკავშირმა დღეს მოიპოვოს ენერჯის იმპორტის ალტერნატიული წყაროები. ერთ-ერთ ასეთი ალტერნატიულ წყაროდ შესაძლებელია მოგვევლინოს აშშ, სადაც ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად მუშავდება გარკვეული ფიქალური გაზის საბადოები, და გარდა ამისა ინტენსიურად იზრდება ნავთობის მოპოვება, თუმცა მეორეს მხრივ პრობლემას წარმოადგენს აღნიშნული ბუნებრივი რესურსების ტრანსპორტირება ევროპაში, გეოგრაფიული სიშორიდან გამომდინარე. ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე თემა საკმაოდ აქტუალურია.

საკვლევი კითხვები :

- 1) რამდენად მზადაა ევროკავშირი გაატაროს დამოუკიდებელი ენერგეტიკული პოლიტიკა რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირების ფონზე?
- 2) არსებობს თუ არა აშშ-ის კომერციულ წრეებში იმის მზადყოფნა, რომ განხორციელებულ იქნეს ფიქალური გაზის ექსპორტი ევროპაში?
- 3) რა პოლიტიკურ ინტერესს მოიცავს აშშ-ის მიერ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მიწოდება ევროპის ქვეყნებისათვის ?

ჰიპოთეზა - აშშ-ში ნავთობის და გაზის მოპოვების ზრდის ფონზე უახლოეს მომავალში აშშ-ს შეუძლია გახდეს ევროკავშირისთვის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი ენერჯის (კერძოდ ფიქალური გაზის) ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის თვალსაზრისით, რაც შეამცირებს რუსეთზე ევროკავშირის ენერგოდამოკიდებულებას, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ აშშ-ში გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება ერთპიროვნულად, შესაბამისად ამ ქვეყნის ხელისუფლებას ნაკლები ბერკეტი გააჩნია ზემოქმედება მოახდინოს ამერიკულ ენერგოკომპანიებზე ევროპისთვის გაზის მიწოდების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ აშშ დაინტერესებულია ევროპის ენერგეტიკული ბაზრის დივერსიფიცირებით (საკუთარი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ექსპორტის

გაზრდის ხარჯზე), უახლოეს მომავალში რუსეთი კვლავ დარჩება ევროპისათვის გაზის ერთ-ერთ მთავარ მიმწოდებლად, თუ ევროკავშირის სახელმწიფოები (მათ შორის გერმანია) უარს არ იტყვიან ერთობლივ ენერგეტიკულ პროექტებზე რუსეთის ფედერაციასთან (ყველაზე მასშტაბური ერთობლივი პროექტები: ჩრდილოეთი ნაკადი 1, ჩრდილოეთი ნაკადი 2).

ნაშრომში გამოყენებული იქნა **თვისებრივი კვლევის მეთოდები**: 1) სტატისტიკური კვლევის მეთოდი, კერძოდ თუ რა რაოდენობით ბუნებრივი აირი მოიპოვება მსოფლიოში, აშშ-ში, ევროპაში, თუ რა მოცულობის იმპორტს ახორციელებენ ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები მათ შორის რუსეთიდან, 2) ისტორიული ანალიზის მეთოდი, თუ რა როლს თამაშობს ენერგეტიკა უახლოეს პერიოდში. გამოყენებულია ასევე 3) შედარებითი ანალიზის, 4) ექსპერტული შეფასების, 5) კონტენტ ანალიზის, 6) ნარატიული ანალიზის მეთოდები.

რაც შეეხება ნაშრომის **მეთოდოლოგიურ ჩარჩოს** გამოყენებულია *კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია*, ასევე ნაშრომი დაეყრდნობა *პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციას*, თუ რა კოლექტიური ზომები უნდა იქნას მიღებული, რა კონკრეტული ალიანსი უნდა იყოს გაფორმებული აშშ-სა და ევროკავშირს შორის ენერგეტიკულ სფეროში რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევის მიზნით. ნაშრომი ასევე დაეყრდნობა *ატლანტიზმის გეოპოლიტიკურ კონცეფციას*, რომელიც დასავლეთის გეოპოლიტიკური გავლენის გაფართოებისაკენაა მიმართული. გარდა ამისა, გეოპოლიტიკური თეორიის ფარგლებში გაანალიზებული იქნება *გეოეკონომიკის* პრინციპი, თუ რა როლის თამაში შეუძლიათ ეკონომიკურ (კერძოდ ენერგეტიკულ ფაქტორებს) მსოფლიო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით.

წინამდებარე ნაშრომის **კვლევის მიზანს** წარმოადგენს ერთის მხრივ ენერგეტიკის როლის განსაზღვრა მსოფლიო პოლიტიკაში, ხოლო მეორეს მხრივ იმ გარემოებების დადგენას, რომლებიც განაპირობებენ აშშ-ის გავლენის ზრდას ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში. **თემის ამოცანაა** გავარკვიოთ პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები აშშ-ევროკავშირს შორის ენერგეტიკული თანამშრომლობის სფეროში. მოვახდინოთ აშშ-ის და ევროკავშირის ენერგეტიკული სტრატეგიის დეტალური ანალიზი და შესაბამისად შემდგომში განვიხილოთ ამერიკა-ევროკავშირს შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის საერთო ინტერესები. ასევე ჩვენი კვლევის ფარგლებში, შევისწავლოთ ის ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ განაპირობებენ აშშ-ს ენერგეტიკული ინტერესების ზრდას ევროპის კონტინენტზე.

კვლევის საგანს წარმოადგენს აშშ-ის და ევროკავშირის ენერგეტიკული სტრატეგიის ოფიციალური დოკუმენტები, აშშ-ის ენერგეტიკული საინფორმაციო ადმინისტრაციის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ნავთობისა და გაზის მოპოვების ზრდის ტენდენციებზე, ასევე ენერგეტიკის საინფორმაციო ადმინისტრაციის 2018 წლის ანგარიში აშშ-ის მიერ ნედლი ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ოფიციალური მონაცემები ევროკავშირში იმპორტირებული ბუნებრივი გაზის მოცულობასთან დაკავშირებით, 2015 წლის აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტი.

კვლევის ობიექტია აშშ-სა და ევროკავშირს შორის ენერგეტიკულ თანამშრომლობას და მისი გაღრმავების პერსპექტივები. არსებული გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, როდესაც ყოველდღიურად იზრდება ევროკავშირის ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსულ გაზზე, რამდენადაა შესაძლებელი აშშ-სა და ევროკავშირს შორის ენერგეტიკული თანამშრომლობის

გაღრმავება ორივე აქტორის ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცების გათვალისწინებით.

თემის შესწავლის მდგომარეობა - მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკული ფაქტორის შესწავლას სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების ფარგლებში დიდი ყურადღება ექცევა, აშშ-ევროკავშირის შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებზე ლიტერატურული წყაროების - განსაკუთრებით ქართულ ენაზე დეფიციტი შეიმჩნევა. მიმოვიხილოთ უცხო ავტორების მიერ დაწერილ სამეცნიერო სტატიებს და მათ პოზიციებს ჩვენ საკლევ თემასთან დაკავშირებით:

დავით კორანი (2016) სტატიაში *"აშშ-ის სტრატეგიული როლი ევროპული ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში"* გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აშშ ევროპულ ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს პოზიცია დრამატულად შეიცვალოს 2016 წლის ნოემბრის არჩევნების შემდეგ.⁶ თუმცა, შედეგმა შეიძლება გამიწვიოს გრძელვადიანი რისკები აშშ-ს საერთაშორისო ენერგეტიკულ პოლიტიკაში, რაც თავის მხრივ გავლენას იქონიებს ევროპულ ენერგოუსაფრთხოებასა და დიპლომატიაზე.

დეივ ქიდინგი (2019) სტატიაში *"ვაჭრობის დაძაბულობის განმუხტვის მცდელობა: ევროკავშირი ხუთი წლის განმავლობაში გააორმაგებს აშშ-ის გაზის იმპორტს"* მოგვითხრობს, რომ დამკვირვებლების აზრით, იმ შემთხვევაშიც კი თუ გათხევადებულ ბუნებრივ გაზზე შეზღუდვები მოიხსნება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ექსპორტის უფლებას მოიპოვებს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მქონე ქვეყნებში, მაინც სავარაუდოა სავაჭრო დაძაბულობის ესკალაცია.⁷

⁶ Korany D., "The strategic role of the US in European energy security", Washington, 06 October, 2016, <https://www.nature.com/articles/nenergy2016160>

⁷ Keating D., "Seeking To Deflate Trade Tensions, EU Will Double US Gas Imports In Five Years", Forbes Magazine, Jersey City, New Jersey, U.S. , 3 May, 2019 <https://www.forbes.com/sites/davekeating/2019/05/03/seeking-to-deflate-trade-tensions-eu-will-double-us-gas-imports-in-five-years/#22eb08526d52>

დევიდ შეპარდი, (2017) თავის მიმოხილვაში *„აშშ და რუსეთი ევროპაში გაზის მიწოდებისთვის იბრძვიან“* ამბობს, რომ ერთი შეხედვით, გაზპრომს შეუძლია ძლიერი კონკურენცია გაუწიოს აშშ-ს ამ შეჯიბრებაში, რადგან მას აქვს მთავარი უპირატესობა, დიდი რეზერვები, წარმოების დაბალი ხარჯები და ახდენს გაზის ტრანსპორტირებას მილსადენების საშუალებით, რაც გაცილებით იაფია, ვიდრე გათხევადებული ბუნებრივი გაზის გაყინვა და შემდგომ ტანკერში ჩატვირთვა, და შემდგომ, როცა დანიშნულების ადგილამდე მიაღწევს, მისი ხელახლა გაზიფიცირება, მაგრამ ევროპაში აშშ-ს გაზის ჩასვლა იძენს უფრო აშკარა პოლიტიკურ ხასიათს.⁸

მარკ ბორის ანდრიანიკი (2015) *„ამერიკული ენერგეტიკული რევოლუცია: ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის გამოწვევები“* -ში მიიჩნევს, რომ რეგიონში, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის სფეროში ამერიკის, ევროპისა და ჩინეთის მიერ საერთო ინტერესების გაზიარება იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას მსოფლიოს წამყვან მთავრობებს შორის უფრო მჭიდრო პარტნიორობისა.⁹

ჯუდი დემფსი (2013) სტატიაში *„აშშ ფიქალური გაზის რევოლუციას დიდი გავლენა აქვს ევროპის წარმოებაზე. ახალმა ტრანსატლანტიკურმა სავაჭრო მოლაპარაკებებმა უნდა მოახდინონ ევროპის ფოკუსირება ენერგეტიკული ბაზრის რეფორმებზე“* გვიზიარებს მოსაზრებას, რომ ფიქალური გაზის წყალობით აშშ წმინდა იმპორტიორი ქვეყნიდან გადაიქცევა წმინდა ექსპორტიორ ქვეყნად.¹⁰

სტატიის *„რუსულ გაზზე დამოკიდებულება დიდ რისკებს შეიცავს ევროპისთვის“* ავტორი გორდონ სონდლენდი (2019), მიიჩნევს, რომ თუ ევროპა შეუშვებს ახალ რუსულ გაზის „არტერიებს“ კონტინენტის გულში, ის აღმოაჩენს, რომ

⁸ Sheppard D., “US and Russia step up fight to supply Europe’s gas”, Financial Times Newspaper, London, 2017 <https://www.ft.com/content/352f4cac-6c7a-11e7-b9c7-15af748b60d0>

⁹ Andrijanić Mark Boris, “The American energy revolution: challenging Europe and the Middle East”, European View Journal, Cambridge University Press, December, 2015, Volume 14, pp. 263–273 <https://link.springer.com/article/10.1007/s12290-015-0374-2>

¹⁰ Dempsey J., “The U.S. shale gas revolution is having a big effect on European manufacturing. New transatlantic trade talks should focus European minds on energy market reforms”, Carnegie Endowment for International Peace Europe Center, Brussels, 3 October, 2013 <https://carnegieeurope.eu/strategieurope/53190>

მასპინძლობს ტროას ცხენს.¹¹ თუმცა კარგი ამბავი ისაა, რომ არსებობს სათანადო, საიმედო და კონკურენტული ფასის მქონე გათხევადებული ბუნებრივი გაზი და აქედან გამომდინარე, აშშ-ს შეუძლია იყოს გამოსავლის მთავარი წყარო.

ჰოლი ელიატი (2019) მიმოხილვაში „*ევროპა ხდება აშშ-სა და რუსეთს შორის ბუნებრივი გაზისთვის ბრძოლის ველი*“; საუბრობს, რომ რუსეთი დიდი ხანია დომინანტი წყარო და ბუნებრივი აირის მომწოდებელია ევროპის მასობრივი ბაზრისთვის, მაგრამ ამერიკა ცდილობს გამოიწვიოს რუსეთი გათხევადებული გაზის იმპორტის მოცულობის გაზრდით - გაზით, რომელის შენახვც და ტრანპორტირებაც ბევრად უფრო მარტივი და უსაფრთხოა.¹²

რიკ ნოაკი (2018) „*აღმოსავლეთ ევროპა ცდილობს შეწყვიტოს მისი დამოკიდებულება რუსულ გაზზე, დასავლეთ ევროპა კი საპირისპიროდ იქცევა*“ -ში ამბობს, რომ დასავლეთ ევროპას რამდენიმე ალტერნატივა აქვს.¹³ ბრიტანეთი, ნორვეგია და ნიდერლანდები არიან დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის უმსხვილესი გაზის მწარმოებლები. მაგრამ მოსალოდნელია, რომ მომავალი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ევროპის საკუთარი რესურსები თანდათანობით გაქრება.

მკვლევარი ლუც მეზი (2017) თავის ნაშრომში „*ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოება: გამოწვევები დივერსიფიკაციასა და დეკარბონიზაციაში*“ წერს, რომ ევროკავშირის ენერგომომარაგების უსაფრთხოება გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური საკითხი გახდა.¹⁴ ევროპის ენერგოუსაფრთხოებაში

¹¹ Sondland G., “Reliance on Russian gas has big risks for Europe”, Financial Times Newspaper, London, 2019 <https://www.ft.com/content/4cfd4b1e-43eb-11e9-b83b-0c525dad548f>

¹² Ellyatt H., “Europe is fast-becoming a natural gas battleground for Russia and the US”, Consumer News and Business Channel (CNBC), Englewood Cliffs, New Jersey, United States, 8 January, 2019 <https://www.cnbc.com/2019/01/08/russia-and-the-us-battling-over-europes-gas-market.html>

¹³ Noack R., “Eastern Europe is trying to break its dependence on Russian gas. Western Europe is doing the opposite”, The Washington Post, Washington, 17 October, 2018 https://www.washingtonpost.com/world/2018/10/17/eastern-europe-is-trying-break-its-dependence-russian-gas-western-europe-is-doing-opposite/?utm_term=.e0b48181ba2d

¹⁴ Mez L., “European energy security: Challenges in diversifying and decarbonising”, Research Institute: “Dialogue of Civilizations”, Berlin, 29 November, 2017 <https://doc-research.org/2017/11/european-energy-security-challenges-diversifying-and-decarbonising/>

მნიშვნელოვანი როლის მქონე კასპიის რეგიონს, ასევე რუსეთი, ჩინეთი და აშშ აკვირდებიან გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე - ნაშრომში პირველადაა დეტალურად გაანალიზებული აშშ-ის ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის მოპოვების და ფიქალური გაზის ევროპაში ექსპორტის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და მისი შესაძლო გავლენა საერთაშორისო უსაფრთხოებაზე.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა - თემა ხელმისაწვდომი გახდება ყველა იმ პირისათვის, ვინც დაინტერესებულია ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკით და ზოგადად მსოფლიო პოლიტიკით. ნაშრომი დაეხმარება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების კუთხით იმ დაინტერესებულ პირებს, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო უწყებებში და ანალიტიკოსებს, რომლებიც მუშაობენ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე. ნაშრომის გამოყენება ასევე შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის) სტუდენტებს.

თავი პირველი

ენერგეტიკის როლი მსოფლიო პოლიტიკაში

ენერგეტიკა კვლავ წარმოადგენს პოლიტიკური მეცნიერების ძირითად საკვლევ თემას. ჩინეთისა და სხვა სწრაფი ტემპით ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნების მიერ ნავთობზე მოთხოვნის გაზრდამ გამოიწვია ბოლო დროს ნავთობის პროდუქტებზე ფასების არნახული ზარდა. ჩინეთში ნავთობსა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნის ზრდა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ზრდასთან. ასევე, მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი რამაც გამოიწვია ენერგეტიკის მიმართ ინტერესის გაზრდა, არის ის, რომ მთავრობების მიერ ყურადღების ფოკუსირება ხდება კლიმატურ ცვლილებებზე, რაც თავის მხრივ განპირობებულია, იმით რომ ეკოლოგიის დაბინძურების ყველაზე მსხვილი კომპონენტი არის წიაღისეული საწვავის გამოყენების დროს გამოყოფილი მავნე აირები.

არსებობს მყარი საფუძველი იმისა, რომ ენერგეტიკის პოლიტიკისადმი ინტერესი დარჩება ძლიერი მომდევნო წლების განმავლობაშიც. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) შეფასებით, 2030 წლისთვის გაზრდილი ენერგო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად 26 ტრილიონის ინვესტიცია იქნება საჭირო.

პოლიტიკურმა მეცნიერებებმა თავისი შესაძლებლობები უნდა გამოიყენონ იმის შესაფასებლად თუ რა გავლენას იქონიებს ეს გაზრდილი მოთხოვნა ეკოლოგიაზე, ცალკეულ საზოგადოებასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე. როგორც განვითარებული ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გაზრდილი ენერგო მოთხოვნის ფაქტორი და მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოს დაცვისა და სხვადასხვა სახის უსაფრთხოებასთან.

მორგენტაუ მიიჩნევს, რომ ბუნებრივი რესურსების კონტროლი არის ეროვნული ძალაუფლების ცენტრალური ელემენტი როგორც ომში, ასევე

მშვიდობაში. გილპინი კი ამტკიცებდა, რომ რესურსების კონკურენცია სახელმწიფო ქცევის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. მელბი ყურადღებას ამახვილებს მთავრობაზე, როგორც ენერგო პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში მოქმედ მნიშვნელოვან სუბიექტზე და განმარტავს, რომ სახელმწიფო სტრატეგია ყალიბდება ეროვნული უსაფრთხოების იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხით.¹⁵

1.1 ენერგეტიკული პოლიტიკის თეორიული ასპექტები და მისი როლი მსოფლიო პოლიტიკაში

ატლანტიზმის გეოპოლიტიკური კონცეფცია

პოლიტიკური პროცესების შესაფასებლად მკვლევრები ხშირად იყენებენ გეოპოლიტიკას, როგორც მიდგომას, რომელიც რიგი სახელმწიფოების საგარეო კურსის ახსნას მის გეოგრაფიულ მდებარეობას და კულტურულ სივრცეებში მის ადგილს უკავშირებს. გავიცნოთ თუ რას წარმოადგენს გეოპოლიტიკის ცნება და როლს თამაშობს იგი მსოფლიო პოლიტიკური პროცესების პროგნოზირებისა და შესწავლის საკითხში. ჩვენი მთავარი მიზანია ენერგეტიკის როლის განსაზღვრა ევრო-ატლანტიკური ურთიერთობების გაღრმავების, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის დონის გაზრდის, და საბოლოო ჯამში ერთიანი ევრო-ატლანტიკური ენერგეტიკული კავშირის (სივრცის) შექმნის აუცილებლობაზე.

ჩვენი ჰიპოთეზის გასამართლებლად მიზანშეწონილია გამოვიყენო ნეოატლანტიზმის სკოლის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენლის, სემუელ ჰანტინგტონის მოსაზრებას დაკავშირებული „ცივი ომის“ დასრულებასა და ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებასთან. ჰანტინგტონი თავისი ცნობილ ნაშრომში („ცივილიზაციათა შეჯახება“) ამბობს, რომ დასავლურ ცივილიზაციასთან ერთად, სადაც მოიაზრება ჩრდილოეთი ამერიკა და ევროპა, მსოფლიოში კიდევ შვიდი

¹⁵ L Hughes. and Lipsy P., “The Politics of Energy”, Department of Political Science, George Washington University, Washington, 2013, pp. 450-455
<http://lewelynhughes.net/wp-content/uploads/2013/05/annurev-polisci-072211-143240-2.pdf>

შესაძლო გეოპოლიტიკური ცივილიზაცია არსებობს: 1) „სლავურ-მართლმადიდებლური“, 2) „კონფუციური“, 3) „იაპონური“, 4) „ისლამური“, 5) „ინდუისტური“, 6) „ლათინურ-ამერიკული“, 7) „აფრიკული“.¹⁶

კითხვაზე პასუხი, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენს ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში (ახალი ეკონომიკური კავშირების შექმნა, ერთიანი ენერგეტიკული სივრცის ჩამოყალიბება) და რა საერთო ინტერესები აკავშირებს ევროპასა და ამერიკას უნდა ვეძებოთ ჰანტიგტონის შემდეგ მოსაზრებაში: „იმისდა მიუხედავად, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი ანტიდასავლური ცივილიზაციები ერთნაირი მნიშვნელობის საფრთხეს არ წარმოადგენენ, მათი მიზნები და ინტერესები დასავლეთის ცივილიზაციის განვითარების საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული“. ჰანტიგტონის აზრით დასავლეთმა დროული რეაგირება უნდა მოახდინოს და თავისი პოლიტიკა უნდა გაატაროს შემდეგი ფორმულის მიხედვით: „დასავლეთი და დანარჩენები“ (The West and The Rest)“.

ჰანტიგტონი მიიჩნევს, რომ ანტი-ატლანტისტური ტენდენციების შესაკავებლად, დასავლეთის ქვეყნებმა უნდა გააძლიერონ საკუთარი ცივილიზაციის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიციები და ყოველთვის უნდა იყვნენ მზად წინააღმდეგობის გასაწევად.

ჰანტიგტონის პოსტულატებიდან, ჩვენს ნაშრომთან მიმართებაში რელევანტურია შემდეგი სასიცოცხლო ინტერესები, რომლებიც გააჩნია დასავლურ ცივილიზაციას:

1. თანამშრომლობისა და ერთიანობის განმტკიცება საკუთარი ცივილიზაციის ფარგლებში;
2. აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნების ინტეგრაცია დასავლეთის შემადგენლობაში, რომლებიც ახლოსაა მის კულტურასთან;

¹⁶ ჩიტაძე ნ., გეოპოლიტიკა, „უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ. 115-116

3. სხვა ცივილიზაციების იმ წარმომადგენლების მხარდაჭერა, რომლებიც ამჟღავნებენ სიმპატიას დასავლური ფასეულობებისა და ინტერესების მიმართ.*

გეოპოლიტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, საფრთხე ეხება რიმლენდის (ევროპა) დაკარგვას ატლანტიკური ცივილიზაციის (შეერთებული შტატები) მიერ ჰართლენდის (რუსეთის ფედერაცია) სასარგებლოდ. აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებს, რომლებიც კულტურულად არიან ახლოს დასავლურ ცივილიზაციასთან: პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და ა.შ. მწვავედ უდგას ენერგორესურსების პრობლემა, რომლის კომერციულად სარფიან გადაწყვეტილებად რუსული გაზის შესყიდვა ისახება. ასეთი ვითარება წინააღმდეგობაში მოდის პოლიტიკურ კონფიგურაციასთან ევრაზიის კონტინენტზე, რომლის მიხედვითაც დასავლური და რუსული საგარეო პოლიტიკური კურსები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. ამგვარად, საკითხი დგას ისე, რომ სასწორის ერთ პინაზე დევს პოლიტიკის, ხოლო მეორეზე ეკონომიკის პრიმატი. საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია იმგვარად, რომ შეერთებულმა შტატებმა საკუთარი ენერგო-შესაძლებლობებით შეძლოს იმ ბუნებრივი პოლიტიკურ-კულტურული კავშირების შენარჩუნება, რაც დასავლური ცივილიზაციის საფუძველში დევს.

რაც შეეხება მეორე მთავარ ნეოატლანტიკური მიმართულების გეოპოლიტიკოსს, ეს გახლავთ ამერიკელი პოლ ვოლფოვიცი (აშშ-ის თავდაცვის მდივნის ყოფილი მოადგილე და მსოფლიო ბანკის ყოფილი პრეზიდენტი). მან აშშ-ის მთავრობისადმი 1992 წლის მარტის მოხსენებაში აღნიშნა: „ევროპისა და აზიის კონტინენტებზე ისეთი სტრატეგიული ძალის წარმოშობის დაუშვებლობის შესახებ, რომელიც შესძლებდა დაპირისპირებოდა აშშ-ს“, მისი აზრით ყველაზე მეტად ასეთ შესაძლო ძალად მიჩნეულია რუსეთი, ამიტომ ამ უკანასკნელის გავლენის

* ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ მართლმადიდებლური ცივილიზაციის ქვეყნებს (რუმინეთი, მოლდავეთი, უკრაინა, საბერძნეთი, სერბეთი, ბულგარეთი, მაკედონია, საქართველო);

შესაკავებლად ბალტიისპირეთის ქვეყნების საფუძველზე უნდა შექმნილიყო „სანიტარული კორდონი“.¹⁷

ჰანტიგტონისა და პოლ ვოლფოვიცის მოსაზრებებიდან გამომდინარე შეგვიძლია დასკვნა გამოვიტანოთ, რომ აშშ-ს უფრო მეტი პოლიტიკური ინტერესები გააჩნია ევროპასთან თანამშრომლობის და ეკონომიკური დახმარების გაწევის თვალსაზრისი, ვიდრე წმინდა ეკონომიკური, ხოლო ევროპისთვის ენერგოდამოკიდებულების შემცირება (შესაბამისად რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის შესუსტება) შესაძლებელია მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობით აშშ-სთან. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აშშ-სთვის ეკონომიკური თვალსაზრისით ამ ეტაპზე არცთუ ისე მომგებიანია ევროპისთვის ენერჯის მიწოდება, აშშ მაინც ეცდება ყველანაირად გაამყაროს თავისი პოზიციები ევროპაში, რომ შემცირდეს რუსეთის ენერგეტიკული ზეგავლენა ევროპაზე, და შესაბამისად მოხდეს რუსული ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკის შეკავება დასავლური და პროდასავლური ცივილიზაციების ერთიანი ძალისხმევით.

ს. ჰანტიგტონი ამტკიცებს, რომ „დასავლეთი უნიკალურია, მაგრამ არა უნივერსალური. იძლევა მომავლის პროგნოზს, რომლის მიხედვითაც შემდეგი მსოფლიო ომი (თუ ასეთი რამ მოხდება) იქნება ომი ცივილიზაციათა შორის. გამოყოფს აშშ-ის როლს მსოფლიოს მომავალ წესრიგში და მიუთითებს, რომ აშშ-ის ლიდერობის შენარჩუნება ამერიკელებისათვის და, საერთოდ დედამიწაზე საერთაშორისო წესრიგისათვის წარმოადგენს კეთილდღეობისა და უსაფრთხოების, თავისუფლებისა და დემოკრატიის, ღია ეკონომიკის განვითარების აუცილებელ პირობას. განიხილავს რა მსოფლიოში მიმდინარე კონკრეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, მიანიშნებს ეკონომიკური და, იმავდროულად, პოლიტიკური რეგიონული კავშირების ფორმირების ტენდენციას, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ამა თუ იმ ცივილიზაციისადმი კუთვნილება.¹⁸

¹⁷ ჩიტაძე ნ., „გეოპოლიტიკა“, თბილისი, 2011, გვ. 117

¹⁸ კვინიკაძე გ., „გეოკონომიკური ნარკვევები: ფრიდრიხ ლისტიდან ედუარდ ლუტვაკამდე“, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 47

პოლიტიკური რეალიზმის კონცეფცია

მსოფლიო ენერგეტიკული პრობლემების შესწავლას საფუძვლად უდევს თეორიული დავები საერთაშორისო ურთიერთობების ბუნების შესახებ. ენერგოუსაფრთხოების საკითხთან მიმართებაში დომინანტი პოზიციები უკავია საერთაშორისო ურთიერთობების ნეორეალისტურ სკოლას. ნეორეალისტების ყურადღება ფოკუსირდება სახელმწიფოს ენერგეტიკულ პოლიტიკაზე, რომელიც განხილულია სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების, სამხედრო კონფრონტაციისა და რეგიონალური კონფლიქტების კონტექსტში. იმპორტიორი ქვეყნების შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია გარანტირებული წვდომა გარე ენერგორესურსებზე, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენების გზით. ექსპორტიორი ქვეყნების შემთხვევაში, გარდა ეკონომიკური სარგებლისა, ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია ენერგორესურსების გამოყენება „პოლიტიკურ იარაღად“ ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხის გადასაჭრელად.

ნეორეალიზმის მომხრეები დარწმუნებულები არიან, რომ გლობალური ჰიდროკარბონული ნედლეულის დეფიციტის, ნავთობისა და გაზის ბაზარზე მწვავე კონკურენციის პირობებში, სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები გარდაუვალია. შემთხვევითი არ არის, რომ ნეორეალისტები თავიანთ ნაშრომებში იყენებენ შემდეგ ფრაზას - „ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის სამხედრო ასპექტები“.

ამერიკელი მკვლევარების დევიდ მორანისა და ჯეიმს რასელის მონოგრაფიაში გაანალიზებულია სამხედრო დაპირისპირების რისკი, რომელიც წარმოიქმნა 21-ე საუკუნის დასაწყისში, ენერგორესურსებისათვის კონკურენტულ ბრძოლაში. ისინი ხედავენ კონფლიქტურ ურთიერთობებს იმპორტიორ ქვეყნებსა და ექსპორტიორ ქვეყნებს შორის, როგორც გლობალური მასშტაბით, ასევე მსოფლიოს ნავთობისა და გაზის ძირითად სატრანზიტო რეგიონებში. ნაშრომში ცალკე ყურადღებაა გამახვილებული აშშ-ის როლზე, როგორც მსოფლიო ეკონომიკისა და ენერგეტიკის განვითარების მთავარ გარანტზე. ავტორები ასკვნია, რომ გლობალური

ენერგეტიკული ბაზარი გარკვეულწილად თვითრეგულირებადია, თუმცა ის არ არის დაცული სახელმწიფოების მხრიდან ძალადობრივი ზემოქმედებებისაგან, რადგან ისინი იბრძვიან ენერგორესურსებზე წვდომის მოპოვებისათვის.¹⁹

მკლევარები დუგ სტოქსი და სემ რაფაელი გამოდიან „შეტევითი ნეორეალიზმის“ პოზიციიდან, მათი აზრით აშშ-ის მსოფლიო ჰეგემონობა განპირობებულია მისი კონტროლით ნავთობის მთავარ მიმწოდებლებზე და შესაბამისად აშშ გვევლინება გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების გარანტად.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ მიმართულებად ბრიტანელმა მეცნიერებმა დაასახელეს, როგორც ნავთობით მდიდარი ქვეყნების ეკონომიკის „მარკეტიზაციის“ ძალისხმევა, რაც საშუალებას მისცემს ვაშინგტონს და მის მოკავშირეებს გააფართოონ პირდაპირი და ირიბი კონტროლის ინსტრუმენტები, ისევე შესაძლებლობები შესაბამისი ქვეყნების ენერგეტიკულ პოლიტიკაზე.²⁰

ნეორეალისტური ხედვის მომხრეა ასევე ამერიკელი პუბლიცისტი და სამხედრო ანალიტიკოსი, მთელი რიგი წიგნების ავტორი ენერგეტიკულ საკითხებში, მაიკლ კლერი. მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევრებია: „სისხლი და ნავთობი“, ბრძოლა რესურსებისთვის“. ავტორი თავის ნაწარმოებში არგუმენტირებულად წარმოაჩენს, თუ როგორ დაიწყო სასტიკი ბრძოლა თანამედროვე მსოფლიოში ენერგორესურსების შემცირების ფონზე, როგორც ლოკალური და რეგიონალური მასშტაბით, ასევე გლობალურ დონეზე. კლერი მიუთითებს, რომ რუსეთი დროთა განმავლობაში, „ცივ ომში“ დამარცხების შემდეგ, გადაიქცა გავლენიან მოთამაშედ ევრაზიულ სივრცეში, ქვანახშირის ექსპორტის გაზრდის ხარჯზე. ამის პარალელურად, აშშ, რომელიც ჯერ-ჯერობით ინარჩუნებს

¹⁹ Moran D., Russel James A., “Energy Security and Global Politics”, The militarization of resource management, International Archive of The Naval Postgraduate School, Monterey, 2009, pp. 1-19 <https://core.ac.uk/download/pdf/36735469.pdf>

²⁰ Stokes D., Raphael S., Global Energy Security and American Hegemony (The mes in Global Social Change), Baltimore: Johns Hopkins University Press Paperback, 2010, p. 296

მსოფლიოში ერთადერთი ზესახელმწიფოს სტატუსს, იძულებულია კონკურენცია გაუწიოს ჩინეთსა და ინდოეთს შემცირებად ენერგეტიკულ რეზერვებზე ხელმისაწვდომობის მიზნით .²¹

მორგენტაუ ამბობს: „სახელმწიფო, რომელიც ძალის, ძლიერების გადანაწილების გზით ცდილობს საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ძალაუფლების გაზრდას, იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს, ხოლო სახელმწიფო რომელიც ცდილობს საკუთარი ძალების დემონსტრირებას, პრესტიჟის პოლიტიკას მიმართავს“.²² აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესეთის ენერგეტიკული გავლენის გაზრდა ევროკავშირზე ზრდის მის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ეფექტურობას, ხოლო აშშ-ის ეკონომიკური კავშირების გაღრმავება (პირველ რიგში ენერგეტიკული თანამშრომლობა) ევროკავშირთან, განაპირობებებულია მისი პრესტიჟით და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მისი გავლენის სფეროების გაფართოებით, და შესაბამისად რუსეთის “ნეოიმპერიალისტური” (ნავთობის იარაღად გამოყენების) პოლიტიკის შეკავებით.

მორგენტაუს აზრით სახელმწიფო მოღვაწეები საერთაშორისო ასპარეზე მოღვაწეობისას სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ფიქრობენ და მოქმედებენ. აშშ-ის ყოფილმა მდივანმა ჰ. კისინჯერმა 1974 წელს ვაშინგტონში განაცხადა, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა არის პრაგმატული და იგი ნაკარნახევია ქვეყნის ინტერესებით. ალ. რონდელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქვეყნებს შორის პოლიტიკური ინტეგრაცია სუსტია და იქამდე გრძელდება, სანამ იგი ამ ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს ემსახურება.²³ შესაბამისად ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობა საჭიროებს არა საკუთარ ინტერესებზე უარის თქმას, არამედ

²¹ Klare M., *Rising Powers, Shrinking Planet: The New Geopolitics of Energy*. New York:Metropolitan Books, 2008, p.352

²² Morgenthau H., “Politics Among Nations“, p. 36.

²³ რონდელი ალ., “საერთაშორისო ურთიერთობები“, მესამე განახლებული გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2006 გვ.112-113

საერთო ინტერესების ძიებას ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის საკითხებში.

პოლიტიკური რეალიზმის კლასიკოს ავტორებს, განსაკუთრებით კი ჰანს მორგენტაუს, ეკონომიკური ფაქტორების სრული იგნორირება არ მოუხდენიათ, მაგრამ ისინი პოლიტიკურს დაუქვემდებარეს. ამ უკანასკნელთა აზრით, ეკონომიკური რესურსები მხედველობაში მისაღებია იმდენად, რამდენადაც ისინი ძალაუფლების მნიშვნელოვანი ატრიბუტია.

რობერტ გილპინი თავის ნაშრომში („ომი და ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკაში“) სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში ეკონომიკურ ფაქტორს განიხილავს რეალისტური ანალიზის ჭრილში.²⁴ აქაც მნიშვნელოვანია პარალელის გავლა იმის თაობაზე, თუ რამდენადაა მზად აშშ თავისი პოზიციების შენარჩუნების მიზნით ევროპაში გაწიოს უფრო მეტი ეკონომიკური დანახარჯი, ვიდრე მიიღებს, არის თუ არა მზად აშშ ეკონომიკური სარგებლის უკანა პლანზე დატოვების, გეოპოლიტიკურ პროცესებზე გავლენის გაზრდის მიზნით.

რა განაპირობებს აშშ-ის მისწრაფებებს ევროპაში თავისი პოზიციების გასამყარებლად და მდგრადობის შესანარჩუნებლად, ხოლო მეორეს მხრივ რა მიზნები და ინტერესები აქვს რუსეთს ევროპაში თავისი ენერგეტიკული ზეგავლენის გაზრდით ევროკავშირის პოლიტიკურ კურსზე, ამ კითხვებზე პასუხი შეგვიძლია გავცეთ რეალიზმის ერთ-ერთი წარმომადგენლის ჯონ მერშაიმერის სამეცნიერო ხედვიდან გამომდინარე. მისი აზრით : *“ნებისმიერი დიდი სახელმწიფოს თვალთახედვით, ყველა სხვა დიდი სახელმწიფო პოტენციური მტერია“*. ცივი ომის დასრულების და გერმანიის გაერთიანების შემდეგ დიდმა ბრიტანეთი და საფრანგეთი ეჭვის თვალთ უყურებდნენ გერმანიის გაძლიერებას და პოტენციურ საფრთხედ აღიქვამდნენ.

მეორე პრობლემა არის საერთაშორისო სისტემაში ცენტრალური ხელისუფლების არარსებობა. შესაბამისად თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში

²⁴ პიერ დე სენარკლენი, იოან არიფენი, „ საერთაშორისო პოლიტიკა : თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, მეხუთე გამოცემა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, გვ. 83-85

სადაც ერთზე მეტი მსოფლიო აქტორი მოიაზრება, უნდა ვივარაუდოთ, რომ კონკურენცია აშშ-ის და რუსეთს შორის გარდაუვალია, სანამ აბსოლუტური უპირატესობა ერთი მეორეს მიმართ ვერ მიაღწევს.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების კონცეფცია

ჯოზეფ ნაი და რობერტ კიოჰანი ამბობენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაცილებით რთულ პირობებში აგრძელებს თავის საქმიანობას. წარსულში ურთიერთობები ქვეყნებს შორის მოიაზრებდა ქვეყნების ლიდერებს შორის ურთიერთობებს და ისინი ხშირ შემთხვევაში ძალას იყენებდნენ წარმოქმნილი დავების გადასაჭრელად. მაგრამ დღეს ვითარება მკვეთრად შეიცვალა, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები გარდა ლიდერებს შორის ურთიერთობისა, ასევე მოიცავს ურთიერთობებს მრავალ სხვა დონეზე, იქნება ეს ეკონომიკურ, სოციალურ თუ ეკოლოგიურ დონეებზე.²⁵ ნაის და კიოჰანის აზრის თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოები ფოკუსირებას ახდენენ უფრო მეტად სოციალური სფეროს გაუმჯობესებაზე და კეთილდღეობაზე, ვიდრე ეროვნულ უსაფრთხოებაზე. კომპლექსური დამოკიდებულების კონცეფციაში მთავარი აქცენტი გაკეთებულია თანამშრომლობაზე, ჯანსაღ კონკურენციაზე, და არა მწვავე დაპირისპირებაზე და ომზე. ავტორების ახალ სტატიში „ძალა და ურთიერთდამოკიდებულება საინფორმაციო საუკუნეში“ ხაზგასმით აღნიშნავენ თუ რატომ ვერ გარდაიქმნა საინფორმაციო რევოლუციამ მსოფლიო პოლიტიკა: ის სახელმწიფოები, რომლებიც მდებარეობენ მშვიდობიანი დემოკრატიული ზონის გარეთ, არ არიან კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებულნი. ამ ჭრილში შეგვიძლიათ დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ევრო - ატლანტიკურ სივრცეს თანამშრომლობის უფრო ღრმა ფესვები გააჩნია ვიდრე მსოფლიოს დანარჩენ ნაწილს (გავიხსენოთ ჰანტინგტონის გეოპოლიტიკური ატლანტიზმის კონცეფცია).

²⁵ Keohane R., and Nye J., Power and Interdependence, 1987, pg. 727, <http://www.rochelleterman.com/ir/sites/default/files/Keohane%20Nye%201987.pdf>

უხეში ძალის თეორიისაგან განსხვავებით, რომელიც იძულებისა და ზეწოლის მექანიზმებს იყენებს, „რბილი ძალის თეორია სასურველი მიზნის მისაღწევად თანამშრომლობისა და მიმზიდველობის მექანიზმებს ეფუძნება და იდეოლოგიურ ინტელექტუალურ, მათ შორის ეკონომიკურ, რესურსებს ანიჭებს უპირატესობას. ჯ.ს. ნაის აზრით, რბილი ძალა არის „უნარი, მიაღწიო შედეგს არა ძალდატანების, არამედ დარწმუნებისა და მიმზიდველობის მეშვეობით“. „რბილი ძალა“ სწორედაც რომ მიმზიდველი ძალაა. მის მიმზიდველობას სხვადასხვა რანგის ფაქტორი და მახასიათებელი განაპირობებს, უმთავრესად კი ღირებულების სისტემათა თანხვედრა, ისე, როგორც ამ ღირებულებების განხორციელების პროცესში თანაზიარობის განცდა.²⁶

ამერიკელი მეცნიერი ჯეიმს როზენაუ თავის ნაშრომში „ტურბულანტობა პოლიტიკურ სამყაროში („*Turbulence in World Politics*“) წერს ტრანსნაციონალური კორპორაციები, თავისუფალი - ლიბერალური ურთიერთობების მიუხედავად, სახელმწიფოს ზეგავლენის ქვეშ რჩებიან და მატერიალური განვითარების ყველა მახასიათებელი (კაპიტალბრუნვა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მომსახურების გაცვლის ნაკადი და ა.შ.), რომლებიც გლობალიზაციასთან არის დაკავშირებული, განსაზღვრული პოლიტიკური არჩევნიდან გამომდინარეობს, რომელიც სახელმწიფოს მიერაა მხარდაჭერილი ან მიღებული, განსაკუთრებით კი ძლიერ სახელმწიფოთა მიერ.²⁷

როზენაუს მოსაზრებაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აშშ, როგორც საბაზრო ეკონომიკის ლიბერალიზაციის და შესაბამისად კერძო ბიზნეს

²⁶ კვინიკაძე გ., გეოკონომიკური ნარკვევები: ფრიდრიხ ლისტიდან ედუარდ ლუტვაკამდე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 47. (ღირებულებათა სისტემის იდენტურობა შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებს შორის სწორედაც უზრუნველყოფს ამ სახელმწიფოებს შორის სხვადასხვა დონეზე ინტეგრაციის მაღალ ხარისხს).

²⁷ პიერ დე სენარკლენი, იოან არიფენი, „საერთაშორისო პოლიტიკა : თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, მეხუთე გამოცემა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, გვ. 86

სექტორის განვითარების ერთგული მხარდამჭერი, საგარეო პოლიტიკური ურთიერთობებში გარდა წმინდა ეკონომიკური სარგებლისა ასევე ძალზედ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პოლიტიკურ ასპექტებს. სწორედ ამიტომ, აშშ-ს ხელისუფლება, როდესაც საქმე ეხება ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ეკონომიკურ გარიგებებს, ნებისმიერ დროს შეუძლია გამოიყენოს თავისი ბერკეტები და კერძო სექტორის წარმომადგენლები “ მრგვალ“ მაგიდასთან მიიწვიოს.

1.2 ენერგეტიკა, როგორც ეფექტიანი საგარეო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი

ენერგეტიკა ესაა ქვეყნის უპირატესობების გამოყენება ენერჯისა და ტექნოლოგიების წარმოების პროცესში ქვეყნის გლობალური ინტერესების გაძლიერებისა და კონკურენტების ინტერესების შელახვისათვის.²⁸ ეს შეიძლება ნიშნავდეს, მაგალითად მეგობრებისა და მოკავშირეების უზრუნველყოფას ენერჯით, რომლებიც ძლიერად არიან დამოკიდებულნი მტრული სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ენერჯის მარაგზე, როგორცაა, მაგალითად, აშშ-ს მცდელობა ევროპა აღარ იყოს დამოკიდებული რუსეთის მიერ მიწოდებულ გაზზე. ენერგეტიკის ფაქტორი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც გეოპოლიტიკურ პარტნიორთან კავშირის განმტკიცებისათვის, როგორც ეს შეერთებულ შტატებსა და ინდოეთს შორის დადებული ბირთვული შეთანხმების დროს მოხდა, ასევე ურჩი მეზობლის დასასჯელად, როგორც ეს არაერთხელ მოხდა რუსეთის მიერ უკრაინისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევებში.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკა არ წარმოადგენს თავისთავად ხისტ ძალას პოლიტიკაში, შეიძლება გამოიწვიოს ისეთი პოლიტიკური პროცესი, რომელიც რბილი ძალის პოლიტიკას აჭარბებს. ენერგეტიკა დიდი ხნის განმავლობაში იყო

²⁸ Clare M., “The New Foreign Policy Tool: Hard Power, Soft Power, and Energy Power”, Magazine: Foreign Affairs, March 2015
<https://www.foreignaffairs.com/articles/united-states/2015-03-03/hard-power-soft-power-and-energy-power>

საერთაშორისო არენაზე სახელმწიფო მართვის მთავარი მახასიათებელი. მაგალითად, როდესაც იაპონიამ მეორე მსოფლიო ომამდე თავისი იმპერია გააფართოვა აზიაში, შეერთებულმა შტატებმა, რომელიც მაშინ იაპონიაში ნავთობის მთავარი მიმწოდებელი იყო, ძალიან მკაცრი სანქციები დააწესა იაპონიაში ენერგომატარებლების ექსპორტზე (რაც საბოლოოდ წარუმატებელი აღმოჩნდა), რათა შეეკავებინა იაპონიის შემდგომი აგრესია.

1973-74 წლებში OPEC-ის არაბულმა წევრებმა ისრაელზე უცხოური მხარდაჭერის შეჩერების მიზნით, დააწესეს ემბარგო ნავთობის მიწოდებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, რამაც გამოიწვია გლობალური ეკონომიკის მკვეთრი ვარდნა. თითოეულ მოყვანილ მაგალითში პოლიტიკოსები იყენებდნენ ხისტ ძალას. დღევანდელი სიტუაცია იმითაა განსხვავებული, რომ ენერგეტიკის ძალა განიხილება როგორც ხისტი ძალის სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივა, მაშინ როცა სამხედრო ძალის გამოყენება, განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოებს შორის ნაკლებ სავარაუდოა.

მე-20-ე საუკუნის პირველ ნახევარში, რომლის კულმინაციაც იყო მეორე მსოფლიო ომი, ენერგოუსაფრთხოების კონცეფცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამხედრო მიზნებისთვის საწვავის მიწოდებაზე. როდესაც მე-20-ე საუკუნის დასაწყისში ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი სამამულო წარმოების ქვანახშირიდან გადავიდა იმპორტულ ნავთობზე, ის გახდა ადვილად მოწყვლადი მოწინააღმდეგეების მხრიდან, რომლებიც ახორციელებდნენ ან ნავთობმოპოვების ადგილების ოკუპაციას, ან თავს ესხმოდნენ სატრანსპორტო ხაზებს და ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს.²⁹

მეორე მსოფლიო ომის დროს ინდონეზიაში, ახლო აღმოსავლეთში, კავკასიასა და რუმინეთში ნავთობმოპოვების ადგილებში წარმოებულმა ომებმა ცხადი გახადა

²⁹ Cherp A., & Jewell J., “The three perspectives on energy security: intellectual history, disciplinary roots and the potential for integration”, Current Opinion in Environmental Sustainability, Lund University, Lund, 2011, pp. 2-5 <https://lucris.lub.lu.se/ws/files/1691263/4239057.pdf>

ნავთობის წარმოებისა და მიწოდების სამხედრო მნიშვნელობა. ნავთობის მნიშვნელობა სამხედრო თვალსაზრისით არც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეცვლილა, მაგრამ ამავე დროს ნავთობი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ინდუსტრიულ განვითარებულ ქვეყნებში სხვა მრავალი თვალსაზრისითაც. განვითარებული ქვეყნები გახდნენ დამოკიდებულნი მოტორიზებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, არა მარტო მგზავრების გადაყვანის თვალსაზრისით, არამედ საკვები პროდუქტების წარმოების თვალსაზრისით, ჯანდაცვის, წარმოების, გათბობისა და ელექტროენერჯის წარმოების თვალსაზრისითაც. ამავე დროს განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების უმრავლესობა ვერ მოიპოვებდა იმ რაოდენობის ნავთობს, რომელიც მათ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. უფრო მეტიც, დეკოლონიზაცია ნიშნავდა, რომ ნავთობის იმპორტი ხდებოდა დამოუკიდებელი ქვეყნებიდან და არა პოლიტიკურად დამოკიდებული ტერიტორიებიდან, როგორც ეს მეორე მსოფლიო ომამდე იყო. მეორეს მხრივ კი განვითარებადი ქვეყნებიც დამოკიდებული გახდნენ ნავთობის იმპორტზე, რომ განვითარებულნი იყვნენ ეკონომიკურად და ჰქონდათ პოლიტიკური სტაბილურობა.

ამ სისტემის მოწყვლადობა ნათელი გახდა 1973 წელს, როდესაც OPEC-ის არაბული წევრების უმრავლესობამ და ზოგიერთმა არაბულმა ქვეყანამ, რომლებიც არ იყვნენ OPEC-ის წევრები, შეწყვიტეს ნავთობის მიწოდება ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, ნიდერლანდებისთვის, ხოლო შემდეგ ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყნებისთვისაც ისრაელისათვის ამერიკის მხარდაჭერის პროტესტის ნიშნად. შედეგად ნავთობზე ფასი ოთხჯერ გაიზარდა, რამაც გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი და ნათელი გახდა ნავთობმომარაგების გლობალური სისტემის სიმყიფე.

ამრიგად მე-20-ე საუკუნის პირველი სამი მეოთხედი ენერგოუსაფრთხოების ყველაზე დიდი პრობლემა იყო ნავთობმომარაგებისა და მიწოდების დაცვა, რასაც სასისიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ჯარისა და ეკონომიკისათვის. ნავთობმომარაგების მთავარ საფრთხედ განიხილებოდა მტრული ქმედებები

ოფიციალური სამხედრო კონფლიქტის შიგნით ან გარეთ. 1973 წლის ნავთობის ემბარგოს აღსაწერად სწრაფად მოიგონეს სამხედრო მეტაფორა "ნავთობის იარაღი". ენერგეტიკული უსაფრთხოება კონცეპტუალიზებულ იქნა ანალიტიკოსების მიერ, რომლებიც ომსაც და მშვიდობიან დიპლომატიასაც განიხილავდნენ ერთი და იგივე "დიდი სტრატეგიის" შემადგენელ ნაწილებად. ასეთი სტრატეგიის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა ისეთი საერთაშორისო რეჟიმების ჩამოყალიბება, რომლებშიც ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ნავთობმომარაგებისა და მიწოდების დარღვევები ნაკლებ სავარაუდო იქნებოდა. პირველი ელემენტი იყო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცება ნავთობმომპოვებელ რეგიონებში, როგორც ეს იყო ჩამოყალიბებული კარტერის დოქტრინაში, სადაც ნათქვამი იყო, რომ „შეერთებული შტატები ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით გამოიყენებს სამხედრო ძალას სპარსეთის ყურეში“, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთის ნავთობის თავისუფალი მიწოდებისათვის.

მეორე ელემენტი იყო ნავთობპროდუქტებისთვის ბაზრის შექმნა, სადაც მოთამაშეთა დიდი რიცხვი იქნებოდა გარანტია იმის, რომ არცერთ მოთამაშეს არ ექნებოდა დიდი ძალაუფლება. ნავთობის მსოფლიო ბაზრისადმი მიდგომა არის პრაქტიკული გამოხატულება უინსტონ ჩერჩილის ცნობილი შეხედულებისა, რომ "ნავთობის უსაფრთხოება და საიმედოობა მხოლოდ მრავალფეროვნებაშია". მესამე ელემენტი იყო საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) შექმნა იმ მიზნით, რომ კოორდინირება გაეწია OECD ქვეყნების საგანგებო სიტუაციების რეაგირებას ნავთობმომარაგების შეწყვეტასთან დაკავშირებით. IEA-ს წევრებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ ნავთობის რეზერვები, რომლებიც გამოყენებული იქნებოდა მსგავსი დარღვევების წინააღმდეგ.

ძირითადი ყურადღება ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით ექცევა იმ საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება შეიქმნას გარე სუბიექტების მიერ, იქნება ეს მტრული სახელწიფოები თუ ტერორისტები, არასაიმედო ექსპორტიორები თუ ზედმეტად ძლიერი უცხოური ენერგოკომპანიები. ძირითად საფრთხეებს

წარმოადგენს წინასწარგანზრახული ქმედებები, როგორცაა ემბარგო, საბაზრო ძალაუფლების არაკეთილსინდისიერი გამოყენება, დივერსია ან ტერორიზმი. ამ მიმართულების აზრის სკოლის მიერ შემუშავებული ენერგოუსაფრთხოების ანალიზი ფოკუსირებულია ინტერესების, ძალაუფლებისა და ალიანსების კონფიგურაციაზე და სხვადასხვა მოთამაშეების მანევრირების სივრცეზე, მაგალითად, მიმწოდებლების ან ენერჯის ვარიანტების შეცვლა.

რისკების მინიმალიზაციის სტრატეგია, სუვერენიტეტის თვალსაზრისით გულისხმობს უფრო საიმედო მიმწოდებლებზე გადართვას ან დივერსიფიკაციის გზით ცალკეული აგენტის როლის შესუსტებას, იმპორტირებული რესურსების ადგილობრივით ჩანაცვლებას და ენერგეტიკულ სისტემებზე სამხედრო, პოლიტიკური და/ან ეკონომიკური კონტროლის დაწესებას. ზოგადად, ენერჯის, კერძოდ კი ელექტროენერჯის მნიშვნელობის ზრდას მივყავართ უფრო და უფრო რთული სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პოლიტიკურ პრობლემასთან, განსაკუთრებით, გლობალურ დონეზე (იქნება ეს "ნავთობის პიკი" თუ კლიმატი), რომელმაც თავის მხრივ გამოიწვია "საიმედოობის" პერსპექტივის წარმოქმნა, რომელიც თავის მხრივ, დაკავშირებულია საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან. ამ თვალსაზრისით, ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის საფრთხედ მიიჩნევა ისეთი "ობიექტური" ფაქტორები, რომლებიც რაოდენობრივ შეფასებას ექვემდებარება, როგორცაა მოთხოვნის გაზრდა, რესურსების ნაკლებობა, ინფრასტრუქტურის დაძველება, ტექნიკური ჩავარდნები და ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები. ამ სტრუქტურის ფარგლებში რისკების მინიმალიზაცია მოიცავს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, ენერჯის უფრო მძლავრ წყაროებზე გადასვლას, უფრო უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას და მოთხოვნის ზრდის მართვას.

თავი მეორე

აშშ-ს ენერგეტიკული სტრატეგია თანამედროვე

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ გლობალიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების დიდი ტემპებით განვითარების ფაქტორებმა არა თუ დაკარგეს გავლენა ენერგეტიკის განვითარებაზე, არამედ გარკვეული თვალსაზრისით კიდევ გახდნენ ენერგეტიკის განვითარების განმსაზღვრელები. მათი ზეგავლენით ხდება მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ახალი არქიტექტურის ფორმირება, ძალთა ბალანსისა და ზეწოლის პოლიტიკისკენ მიბრუნება. ფერადი რევოლუციები და ლოკალური ომები, სახელმწიფო გადატყორალები და სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციები აყალიბებენ თანამედროვე ენერგეტიკის სახეს. განსაზღვრავენ ლოკალური და გლობალური ენერგეტიკული ბაზრის მდგომარეობას და უმსხვილესი ენერგეტიკული პროექტების ბედს. უფრო მეტიც, ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებამ, მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიების, შეავსო და გააძლიერა მსგავსი პოლიტიკური ფაქტორების შესაძლებლობები და ქმედითობა.³⁰

2.1 აშშ-ის ენერგეტიკული სტრატეგია ჯორჯ ბუშ უმცროსის

ადმინისტრაციის დროს

1970-იანი წლების ნავთობის ემბარგოს შემდეგ ამერიკა 2001 წელს ენერჯის სერიოზული დეფიციტის ფაქტის წინაშე დადგა, რისი შედეგებიც უკვე

³⁰ Мастепанов А.М., „Энергетическое Сотрудничество в Новых Геополитических Условиях : Некоторые Оценки и Перспективы“, 2015, стр. 13-14
Источник: http://www.energystrategy.ru/press-c/source/Mastepanov_ep1-15.pdf

იგრძნობოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით.³¹ ბევრი ოჯახისათვის ელექტროენერჯის გადასახადი წინა წელთან შედარებით ორ-სამჯერ გაიზარდა. მილიონობით ამერიკელი შეეჩება ენერჯის და ელექტროენერჯის გათიშვების პრობლემას, ზოგიერთი დამსაქმებელი იძულებული გახდა, გაეთავისუფლებინა თანამშრომლები, რომ როგორმე დაეფარა ელექტროენერჯის გაზრდილი ღირებულება. მძღოლები უფრო და უფრო მეტს იხდიდნენ საწვავში. კალიფორნიელებზე ეს პრობლემები განსაკუთრებით მძაფრად აისახა.

მიუხედავად ეკონომიკური ბუმისა, სწრაფად მზარდი მოსახლეობისა და შესაბამისად ელექტროენერჯის მოთხოვნილების ზრდისა, კალიფორნიამ ერთი ახალი მსხვილი ელექტროსადგურიც კი არ დაამატა 1990-იანი წლების განმავლობაში. შედეგად, ელექტროენერჯიაზე მოთხოვნილება გაცილებით აღემატებოდა მის არსებულ რაოდენობას.

ყველაზე მეტად კალიფორნიაში ელექტროენერჯის დეფიციტის გამოწვევის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს 1996 წელს ელექტროენერჯის დერეგულირების კანონის მიღება, კერძოდ კი საცალო ფასების შეზღუდვა და საბითუმო ფასების უკონტროლოდ დატოვება.³² ამას დაემატა მიწოდების გაცილებით დიდი დეფიციტი ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთში. სიმძლავრეების შეზღუდვამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბუნებრივი აირის ფასის აწევაზე. ბუნებრივი აირის გაძვირებამ გამოიწვია ელექტროენერჯიაზე ფასების მატება-ოდესღაც იაფი ბუნებრივი აირი ელექტროენერჯის მიმწოდებლებს სტიმულს აძლევდა აეშენებინათ უფრო მეტი გაზზე მომუშავე ელექტროსადგურები.

როდესაც პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2001 წელს თანამდებობა დაიკავა, შექმნა ენერჯეტიკის პოლიტიკის განვითარების ეროვნული ჯგუფი ("NEPDG"), რომელსაც ხელმძღვანელობდა ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი, რომლის მიზანიც იყო

³¹ Report of the National Energy Policy Development Group, "National Energy Policy", May 2001, pg. 8
<https://www.wtrg.com/EnergyReport/National-Energy-Policy.pdf>

³² The Economist, "Bush's energy plan", 17 May, 2001
<https://www.economist.com/unknown/2001/05/17/bushs-energy-plan>

შემუშავებინათ „კომპლექსური“ გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც გამოიყენებდა მოწინავე ტექნოლოგიებს კომპლექსური ენერგეტიკული, ეკოლოგიური და ეკონომიკური პოლიტიკისთვის.³³

პრეზიდენტმა ბუშმა NEPDG შექმნა 2000 წლის საყოველთაოდ აღიარებული ენერგეტიკული კრიზისის საპასუხოდ. ამ ჯგუფმა შეისწავლა ქვეყნის ენერგეტიკული მდგომარეობის თითქმის ყველა ასპექტი, მათ შორის პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა თავად ენერგეტიკასა და მიწოდებას, ასევე ეროვნულ ინფრასტრუქტურასა და ეკოლოგიას. NEPDG - ჯგუფმა, რომელიც ცნობილია ასევე ჩეინის ჯგუფის სახელით, პრეზიდენტ ბუშს წარუდგინა ანგარიში, რომელშიც დეტალურადაა განხილული მისი ხედვა, თუ რა არის გრძელვადიანი ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკა.

პრეზიდენტი ბუში სწორედ ამ ანგარიშს დაეყრდნო 2005 წელს ენერგეტიკული პოლიტიკის კანონის შემუშავებისას. NEPDG ჯგუფის ანგარიში მოუწოდებდა გაფართოებულიყო ნავთობის შიდა რესურსების ექსპლუატაცია, მოეხდინათ მოწინავე ტექნოლოგიების სრულყოფა და ჩატარებულიყო კვლევები ალტერნატიული საწვავის წყაროების მოძიების სფეროში. ჩეინის ჯგუფის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ჩეინის გეგმა არანაირ პერსპექტივას არ იძლეოდა იმპორტულ ნავთობზე დამოკიდებულების შემცირების თვალსაზრისით და მხოლოდ მოუწოდებდა "უსუსური ნაბიჯების" გადადგმისკენ, რომ შეცვლილიყო ამერიკის დამოკიდებულება ნავთობის მოხმარების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, გრძელდებოდა დავები და სარჩელების შეტანა, რადგან საჯაროდ გაცხადდა ჩეინის ჯგუფზე ამერიკული მსხვილი ნავთობკომპანიების გავლენა.

³³ Stolte J., "Energy Policy Act of 2005: The Path to Energy Autonomy, The; Note" Journal Of Legislation: Vol. 33: Iss. 1, Article 5, 2007, pp. 126- 136
<https://scholarship.law.nd.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1118&context=jleg>

არსებობს რამოდენიმე ინფორმაცია, რომ ამ ჯგუფის მთავარი მრჩეველი Enron-ის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი აწგანსვენებული კენეტ ლეი იყო. გარდა ამისა, NEPDG ჯგუფის ანაგარიშის მომზადების ერთერთი მთავარი ფიგურა ენერგეტიკის მინისტრი სპენსერ აბრაჰამი ამ ანგარიშის მომზადების პროცესში შეხვდა სხვა არანაკლებ მსხვილი ენერგოკომპანიის წარმომადგენლებს.

ამერიკის ენერგეტიკისა და ვაჭრობის კომიტეტის წარმომადგენელთა პალატამ 2005 წლის ენერგეტიკული პოლიტიკის აქტის მიღების შემდეგ გამოსცა შემდეგი პრეს-რელიზი: 2005 წლის ენერგეტიკული პოლიტიკის აქტი საშუალებას იძლევა გამოიყოს მნიშვნელოვანი თანხები წიაღისეულ საწვავზე მომუშავე კომპანიებისთვის. ქვანახშირის წარმოებაში ეს კანონი ხელს უწყობს "სუფთა ქვანახშირის" ტექნოლოგიების განვითარებას, ასევე უზრუნველყოფს სახსრებს სუფთა ქვანახშირის ინიციატივისა და სუფთა ქვანახშირის პროგრამის განხორციელებისათვის. ნავთობისა და გაზის მრეწველობაში ეს კანონი აფართოებს ძიებასა და მოპოვებას არადაცულ ფედერალურ ტერიტორიებზე, ამავე დროს საშუალებას აძლევს სტრატეგიული ნავთობის რეზერვის სიმძლავრის გაფართოებას.

ენერგეტიკული პოლიტიკის აქტი ასევე ითვალისწინებდა საგადასახადო შეღავათებს წიაღისეული საწვავის წარმოებაზე, რაც შეადგენს 2,8 მილიარდ დოლარს. 2005 წლის ენერგეტიკული პოლიტიკის აქტის ზოგიერთი მომხრე თვლდა, რომ ალტერნატიული და განახლებადი ენერგეტიკისათვის გამოყოფილი სუბსიდიები საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობდა ამერიკის შეერთებული შტატების უცხოურ ნავთობზე დამოკიდებულების შემცირებას.

კანონი ითვალისწინებდა მთელ რიგ სტიმულაციებს ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარების ხელისშეწყობისათვის და დაახლოებით 6 მილიარდი დოლარი იყო გამოყოფილი სუბსიდიების სახით განახლებადი ენერგეტიკის წყაროების, მოძიებისა და განვითარებისთვის.

ტეხასის ალიანსის ენერგეტიკის მწარმოებელთა აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა ბილ სტივენსმა განაცხადა, რომ 2005 წლის ენერგეტიკული

პოლიტიკის აქტით ფული და წახალისება განაწილებულია განახლებადი ენერჯის წყაროების, წყალბადის, ბირთვული ენერჯის, ნახშირის, ნავთობისა და გაზის გარშემო და რაც იმედს იძლეოდა, რომ მყარ საფუძველს მისცემდა აშშ-ს ენერჯეტიკული პროდუქციის წარმოების ზრდას.

შიდა ენერჯეტიკული წარმოების ფაქტობრივი ზრდა დიდწილად დამოკიდებულია ერის მზადყოფნაზე მოახერხოს და მოახდინოს ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის ინტეგრირება საკუთარ ცხოვრებაში. ბირთვული ინდუსტრია ენერჯეტიკული პოლიტიკის აქტის "ყველაზე დიდ გამარჯვებად" იყო აღიარებული და გათვალისწინებულია წახალისების მიზნით ბირთვული საქმიანობის ყველა ასპექტში მილიონობით დოლარის გამოყოფა.

პრეზიდენტ ბუშის განცხადებით, 2005 წლის ენერჯეტიკული პოლიტიკის კანონი ითვალისწინებს "უპრეცედენტო ვალდებულებას ენერგოდაზოგვისა და ეფექტურობის თვალსაზრისით". ვალდებულება, რომელსაც პრეზიდენტი ბუში შეეხო ეყრდნობა ამ კანონის ორ ძირითად დებულებას: პირველი, 2005 წლის ენერჯეტიკული პოლიტიკის აქტი ადგენს ენერგოეფექტურობის სტანდარტებს თხუთმეტი ახალი პროდუქტისთვის, მათ შორის კომერციული გამაგრებლების, კომერციულ გამათბობლების, ჭერის ვენტილატორების, შუქნიშნებისა და სხვა საყოფაცხოვრებო და ბიზნეს პროდუქტებისათვის.

2008 წლის აპრილში პრეზიდენტმა ბუშმა ახალი საყოველთაო ეროვნული მიზნის შესახებ გააკეთა განცხადება - 2025 წლისთვის სათბურის გაზების არარაციონალურად გავრცელების შეჩერება ამერიკის შეერთებულ შტატებში.³⁴

2002 წლიდან 2006 წლამდე აშშ-ში სათბურის გაზის ემისია 1.9 პროცენტით, ხოლო ეკონომიკა 12.6 პროცენტით გაიზარდა.

2000 წლიდან 2007 წლამდე ეთანოლის წარმოება ოთხჯერ გაიზარდა, 1.6 მილიარდი გალონიდან გაიზარდა დაახლოებით 6.5 მილიარდ გალონამდე.

³⁴ The White House, "Energy for America's Future", July, 2008
<https://georgewbush-whitehouse.archives.gov/infocus/energy/>

2001 წლიდან შეერთებულმა შტატებმა გაზარდა ქარის ენერჯის წარმოება 400 პროცენტზე მეტით.

2000-დან 2007 წლების შუალედში შეერთებულ შტატებში მზის ენერჯის სიმძლავრე გაორმაგდა და მზის დანადგარები 32 პროცენტით გაიზარდა.

ამერიკის ადმინისტრაციამ ასევე დაიწყო პროგრამა ბირთვული სიმძლავრე 2010 (Nuclear Power 2010) და მიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომლებმაც წარმოებებს მისცა საშუალება 17 ახალი განაცხადი შეეტანა 26 ახალი ბირთვული რეაქტორის მშენებლობაზე შეერთებულ შტატებში.

პრეზიდენტმა ბუშმა წამოაყენა წინადადება და შესთავაზა 2 მილიარდი დოლარი „სუფთა ტექნოლოგიების“ (Clean Technology) საერთაშორისო ფონდის შესაქმნელად, ძირითად განვითარებულ ქვეყნებში სათბურის გაზების გაფრქვევის მზარდი პრობლემის მოგვარების მიზნით.

შეერთებულმა შტატებმა დაიწყო ისეთი ტექნოლოგიური პროგრამები, როგორცაა ბირთვული ენერჯების სფეროში გლობალური პარტნიორობა, რათა უზრუნველყო ახალი ტექნოლოგიების მძლავრი განვითარება, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა ბირთვული ენერჯეტიკის სუფთა, გრძელვადიან, უსაფრთხო და მყარ გავრცელებას მთელს მსოფლიოში და ამასთანავე ნარჩენებთან ბრძოლის საუკეთესო ხერხების შემუშავებას.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ასევე შექმნა მთელი რიგი პრაქტიკული საერთაშორისო პარტნიორობის სერია, რათა შეემცირებინა გამონაყოფებით დაბინძურება, გაეუმჯობესებინა ენერგოუსაფრთხოება და ხელი შეეწყო მდგრადი განვითარებისთვის.

2.2 აშშ-ის ენერჯეტიკული სტრატეგია ობამას ადმინისტრაციის დროს

2015 წლის მონაცემებით ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში მესამე ადგილზე იყო ნავთობის წარმოებაში რუსეთისა და საუდის არაბეთის

შემდეგ-ამერიკა ბუნებრივი აირის წარმოებაში რამდენიმე წელია ინარჩუნებს პირველ ადგილს, თანაც უპირატესობა რუსეთთან შედარებით, რომელიც გაზის წარმოების მაჩვენებლით მე-2 ადგილზეა, ყოვეწლიურად იზრდება. ამასთანავე ამერიკის შეერთებული შტატები ენერგორესურსების უმსხვილესი მომხმარებელია, წლების განმავლობაში შეერთებული შტატები ძლიერ იყო დამოკიდებული ნავთობისა და ბუნებრივი აირის იმპორტზე.³⁵ ბოლო წლებში ფიქალური რევოლუციის წყალობით სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა, საგრძნობლად გაიზარდა შიდა მოპოვება იმპორტის გამუდმებული შემცირების ფონზე. საშუალოვადიან პერსპექტივაში ამერიკის შეერთებული შტატები შეიძლება გახდეს გათხევადებული ბუნებრივი აირის შედარებით მსხვილი ექსპორტიოტი.

ამერიკის ენერგეტიკულ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები დიდ გავლენას ახდენს ნავთობისა და გაზის მსოფლიო ბაზარზე. ამ ცვლილებებმა გამოიწვია მსოფლიო ბაზარზე ნავთობისა და გაზის ფასების მკვეთრი დაცემა 2014 წლის ბოლოსათვის, ხოლო უფრო ადრე 2009 წელს ჩრდილოამერიკულ გაზის ბაზარზე მკვეთრად შეამცირა გაზის ფასი, რამაც გამოიწვია პრაქტიკულად თხევადი ბუნებრივი აირის იმპორტის სრული უარყოფა და ირიბად იმოქმედა ევროპის ბაზარზეც.

ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვები, რამდენადაა დამოკიდებული ეს ცვლილებები ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიზანმიმართულ საქმიანობასთან? რა მიმართულებით განვითარდება შეერთებული შტატების ენერგეტიკა? რას უნდა ველოდოთ ენერგეტიკულ სექტორში ამერიკული პოლიტიკისაგან და რა გავლენა შეიძლება იქონიოს მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე?

³⁵ Захаров П., “Энергетическая политика США на современном этапе”, Научный журнал: Проблемы Национальной Стратегии, № 4 (31), г. Москва, 2015, стр. 180-181
Источник: <https://riss.ru/images/pdf/journal/2015/4/Binder1.pdf>

2008 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს ობამამ განაცხადა რიგი პრიორიტეტების შესახებ, რომლებსაც დაეყრდნობოდა თავისი ენერგეტიკული პოლიტიკის განხორციელებისას:

- 1) სასათბურე გაზის ემისიის შემცირება გლობალურ დათბობასთან ბრძოლის მიზნით და გადასახადის დაწესება ნახშირორჟანგის ემისიაზე.
- 2) სუფთა და უსაფრთხო ენერგეტიკული ტექნოლოგიების პრიორიტეტული სუბსიდირება, ალტერნატიული ენერჯის - პირველ რიგში მზისა და ქარის ენერჯია-ინვესტირება.
- 3) ბიოპროდუქციის წარმოების მხარდაჭერა (ეთანოლი).
- 4) ნავთობისა და გაზის იმპორტისაგან (გრძელვადიანი) აშშ-ის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევა.
- 5) ეროვნული ეკონომიკის ენერგოეფექტურობის ზრდა და ახალი ენერგომომარაგების ტექნოლოგიების დანერგვა.
- 6) აშშ-ის ლიდერის როლის დაბრუნება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ გლობალურ ბრძოლაში გარემოს დაცვის სხვადასხვა პროგრამებში (მათ შორის გაერო).

ობამამ განაცხადა, ე.წ. "ახალი ენერჯია" განავითარების აუცილებლობის შესახებ, რაც ითვალისწინებს საწვავის ბალანსის მნიშვნელოვან ცვლილებებს განახლებადი ენერჯის წყაროების სასრგებლოდ, ენერგოდაზოგვითი ახალი ტექნოლოგიების პრიორიტეტულ გამოყენებას და ტრადიციული ენერგორესურსების (ნავთობის, გაზის, ნახშირის) შემცირებას.

ამასთანავე ობამა, მისი წინამორბედისგან განსხვავებით, ყოველთვის რჩებოდა წყალბადის გამოყენებაზე დაფუძნებული ტექნოლოგიების, როგორც არაეფექტურის, გამოყენების მოწინააღმდეგე.

ენერგეტიკულ სექტორში დეკლარირებული მიზნების განხორციელება იგეგმებოდა ფედერალური ცენტრის აქტიური ფინანსური მხარდაჭერით და ეროვნული კანონმდებლობის ცვლილებით. თუმცა ობამას მმართველობის საწყის

ეტაპზე ამ მიზნების განხორციელებას ხელს უშლიდა გადაუდებელი ანტიკრიზისული ღონისძიებების აუცილებლობა, რომელიც მიმართული იყო აშშ-ს ეკონომიკის (ბანკები, მანქანათმშენებლობა, უძრავი ქონების სექტორი) ყველაზე დაზარალებული სექტორების მხარდასაჭერად.

უნდა აღინიშნოს, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ 2009 წლის იანვრიდან 2015 წლის შუა პერიოდამდე ვერ მოახერხა წარმოედგინა თუნდაც ერთი დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს აშშ-ს სრულფასოვანი ენერგეტიკული სტრატეგია. მეტნაკლებად მსგავს დოკუმენტად შეიძლება მიჩნეული იყოს 2011 წელს გამოცემული ანგარიში სახელწოდებით "ღონისძიებების გეგმა უსაფრთხო ენერგეტიკული მომავლის უზრუნველსაყოფად". თუმცა ეს დოკუმენტი ზედმეტად კონიუნქტურული ხასიათისაა და არ შეიცავს გრძელვადიანი სტრატეგიის მრავალ ელემენტს. (მაგალითად, ენერგეტიკის სექტორის განვითარების კონკრეტული პერსპექტივის მიზნობრივ მაჩვენებლებს). ეს მიდგომა დამახასიათებელია სხვა მრავალი სამთავრობო ანგარიშისთვის, რომლებიც ენერგეტიკას ეხებოდა და რომლებიც მრავლად ქვეყნდებოდა ობამას მმართველობის პერიოდში. თვითონ პრეზიდენტი ობამა ბევრს და ხალისით ლაპარაკობდა ამ თემაზე, თუმცა თეთრი სახლის პოზიცია დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა ენერგომატარებლების ბაზარსა და შიდაპოლიტიკური კონიუნქტურის ცვალებადი სიტუაციების გავლენების ქვეშ.

აშშ-ის 2015 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტში წერია: „ამერიკის შეერთებული შტატები არის მსოფლიო ლიდერი ნავთობისა და გაზის წარმოებაში. ამერიკული ნავთობის მოპოვება მკვეთრად გაიზარდა და გლობალურ ბაზრებზე გავლენა მოახდინა. იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა და შესაბამისად შემცირდა ხარჯები. შემცირდა ამერიკის დაუცველობა და დამოკიდებულება მოწოდების შეფერხებასა და ფასების შოკთან მიმართებაში.

აშშ-ს აქვს მნიშვნელოვანი წილი ევროპაში თავისი მოკავშირეების ენერგო უსაფრთხოებაში, ისევე როგორც სხვაგან. მიწოდებასა და მოთხოვნასთან

დაკავშირებული სეისმური ძვრები მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს. საიმედო ენერჯის გლობალური ხელმისაწვდომობის გაფართოება არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გზა სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის და აშშ-ს ტექნოლოგიებისა და ინვესტიციებისთვის ახალი ბაზრის შესაქმნელად.³⁶

უკრაინისა და ევროპის რუსეთზე ენერგო დამოკიდებულება არის კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც ხაზს უსვამს ენერგოუსაფრთხოების საჭიროებას. ეს საჭიროება კოლექტიურია და ეხება არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებს, არამედ მის მოკავშირეებსა და პარტნიორებს ვაჭრობაში, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო გასააგებს ხდის კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრების მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, აშშ-მ ხელი უნდა შეუწყოს ენერგო საწვავის, წყაროების და მარშრუტების დივერსიფიკაციას და ასევე წახალისოს ენერგომომარაგების ადგილობრივი წყაროები“.

ობამას ენერგოპოლიტიკაზე საუბრის დროს აუცილებელია ავლნიშნოთ, რომ მისი ადმინისტრაცია თავდაუზოგავად იბრძოდა კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ და მის უდიდეს მიღწევებს წარმოადგენს გარემოს დაცვის სააგენტოს სუფთა ენერჯის გეგმის წარდგენა და მოლაპარაკებები პარიზის კლიმატის ცვლილებების შესახებ შეთანხმების ფარგლებში.³⁷ მაგრამ გაცილებით ნაკლებად ცნობილია, რომ ობამას სრულებით დამსახურებულად შეიძლება ვუწოდოთ „ენერგოუსაფრთხოების პრეზიდენტი“ - ამერიკის ლიდერი, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა თავისი მოსახლეობისთვის რომ მოეხმარათ ნაკლები ენერჯია და შესაბამისად გადაეხადათ ნაკლები, რომელიც რაღა თქმა უნდა კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლაშიც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

³⁶ The White House, “ National Security Strategy; Advance Our Energy Security”, Washington, February , 2015, pg. 16

https://obamawhitehouse.archives.gov/sites/default/files/docs/2015_national_security_strategy_2.pdf

³⁷ Mooney Chr., „Obama has done more to save energy than any other president”, The Washington Post, Washington, August, 2016

https://www.washingtonpost.com/news/energy-environment/wp/2016/08/05/obama-has-done-more-to-save-energy-than-any-other-president/?noredirect=on&utm_term=.e18905241d24

ფაქტი ისაა, რომ ობამას ენერგეტიკულმა დეპარტამენტმა დაამკვიდრა ისეთი ახალი ენერგოეფექტური სტანდარტები, როგორც მის არც ერთ წინამორბედს არ დაუმკვიდრებიათ. ამას ადასტურებს ASAP (the Appliance Standards Awareness Project) და „ამერიკის საბჭო ენერგოეფექტური ეკონომიკისთვის“ მიერ ჩატარებული მონიტორინგის ანგარიში.

ობამას მიზანი იყო ხელი შეეწყო 45 ინდივიდუალური ტიპის ენერგომოხმარების პროდუქტების გაუმჯობესებისთვის დაწყებული მაცივრებიდან, დამთავრებული სინათლის ნათურებით.

ენერგეტიკული შედეგების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი არის რეგულაცია, რომელიც მართავს უზარმაზარი მასშტაბის, კომერციულ საჰაერო კონდიციონერებს, გათბობის ტუმბოებს და ღუმელების, რომელიც ათბობენ და აგრილებენ უზარმაზარ შენობებს. მხოლოდ ეს რეგულაცია შეძლებდა შემცირებინა მილიარდი ტონობით ნახშირორჟანგის ემისია. ენერგეტიკის დეპარტამენტმა მას "ისტორიაში უდიდესი ენერგოდაზოგვის სტანდარტი" უწოდა - ეს იყო კიდევ ერთი რეგულაცია, რომელიც ამ სფეროში ობამას მისი წინამორბედებისგან გამოარჩევს.

როდესაც პრეზიდენტმა 2013 წელს თავის კლიმატის სამოქმედო გეგმა გამოაცხადა, ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი იყო 2030 წლისთვის 3 მილიარდი ტონა ნახშირორჟანგისგან დაბინძურების შემცირება ახალი ენერგოეფექტურობის სტანდარტების მეშვეობით.

ობამას ყოვლისმომცველი გეგმა გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ენერგოუსაფრთხოების მიღწევაში იყო:³⁸

- ✓ განეხორციელებინა გეგმა რომელიც უზრუნველყოფდა სათბურის გაზის მოხმარების შემცირებას მეცნიერების მიერ რეკომენდებულ დონემდე, რათა თავიდან აეცილაბინა გაზის მოხმარებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტი.

³⁸ The Office of Barack and Michelle Obama, "Barack Obama's Plan To Make America a Global Energy Leader", 2014
https://obama.3cdn.net/4465b108758abf7a42_a3jmvfyfa5.pdf

- ✓ მომდევნო ათი წლის განმავლობაში, 150 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ეკოლოგიურად სუფთა ენერგორესურსების განვითარებისთვის
- ✓ ენერჯის ეფექტურობის დრამატული გაუმჯობესება 2030 წლისთვის, ეკონომიკის ენერგო ინტენსივობის შემცირების 50% -ით.
- ✓ უცხოურ ნავთობზე ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულების შემცირება და ნავთობის მოხმარების შემცირება სულ მცირე 35 პროცენტით, ან 10 მილიონი ბარელი ნავთობით, 2030 წლისთვის.
- ✓ ამერიკა უნდა გამხდარიყო ლიდერი კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში და წინ გაძღვოდეს ახალ საერთაშორისო გლობალური დათბობის კავშირს.

პრეზიდენტ ობამას ყოვლისმომცველი ენერგეტიკული სტრატეგია ამერიკას უფრო მეტად ენერგოდამოუკიდებელს ხდიდა და ხელს უწყობდა სამუაო ადგილების შექმნას.³⁹ მას შემდეგ, რაც ბარაკ ობამამ პრეზიდენტის პოსტი დაიკავა, საოჯახო ენერგეტიკასთან დაკავშირებული ემისიები ყველაზე დაბალ მაჩვენებლამდე დაეცა ბოლო 20 წლის განმავლობაში და შემცირდა დამოკიდებულება უცხოურ ნავთობზე. აშშ გახდა უფრო ენერგოეფექტური და მეტ ნავთობს, გაზს და განახლებად ენერჯიას აწარმოებდა.

თუმცა, ობამას ადმინისტრაციის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინიციატივა იყო საწვავის ეფექტურობის სტანდარტების მიღება, რომლებიც გარემოს დაცვის სააგენტოსა (EPA) და ტრანსპორტის დეპარტამენტთან ერთად იქნა შემუშავებული.⁴⁰

კანონმდებლობის თანახმად, ენერგეტიკის დეპარტამენტს უნდა განეკარგა 16.8 მილიარდი დოლარის ოდენობით, შემდეგნაირად: სახელმწიფო ენერგეტიკული

³⁹The White House, “Advancing American Energy”, 2015

<https://obamawhitehouse.archives.gov/energy/securing-american-energy>

⁴⁰ Freeman J., “Climate and Energy Policy in the Obama Administration”, Harvard Law School, , Harvard, September 2012, 30 Pace Env'tl. L. Rev. 375

<https://dash.harvard.edu/bitstream/handle/1/12967850/Climate%20and%20Energy%20Policy%20in%20the%20Obama%20Administration.pdf?sequence=1&isAllowed=y>

პროგრამა - 3.1 მილიარდი, გაუმჯობესებული ბატარეების წარმოება - 2.0 მილიარდი, ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯია - 6.7 მილიარდი.⁴¹

კიდევ ერთი 16 მილიარდი დოლარი კლასიფიცირდა შემდეგნაირად: გარემოსდაცვითი მენეჯმენტი - 6.0 მილიარდი დოლარი, სმარტ გრიდი და მასთან დაკავშირებული პროგრამები - 4.5 მილიარდი დოლარი, წიაღისეული სფეროს კვლევა და განვითარება - 3.4 მილიარდი დოლარი, მეცნიერება - 1.6 მილიარდი დოლარი და მოწინავე კვლევითი პროექტების სააგენტო - ენერჯეტიკა (APRA-E) - \$ 0.4 მილიარდი.

ამერიკის ელექტროენერჯის გენერაცია შეიცვალა. 2016 წლისთვის, ქვანახშირ ალარ იყო აშშ-ს ელექტროენერჯის დომინანტი წყარო. ბუნებრივი აირზე მომუშავე ელექტროსადგურების მიერ ელექტრო ენერჯის გამომუშავება 2008 წელს 21% -ით იყო, რაც 2016 წელს 34%- მდე გაიზარდა, ხოლო ელექტროენერჯის წარმოებაში ქვანახშირის წილი 30% -ით შემცირდა.⁴² (იხ. დანართი 1)

2008 წლიდან 2015 წლამდე, აშშ-ში ბუნებრივი აირის მარაგები გაიზარდა 255 ტრილიონი კუბური ფუტიდან 324 ტრილიონ კუბურ ფუტამდე. გაზრდილმა წარმოებამ, თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეამცირა ფასი ბუნებრივ აირზე. (იხ. დანართი 2)

2008 წლის ფისკალური წლიდან 2016 ფისკალურ წლამდე აშშ ენერჯეტიკის დეპარტამენტის ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერჯის კვლევის, განვითარებისა და დემონსტრაციისთვის დაფინანსება 1.24 მლრდ დოლარიდან 2.07 მლრდ დოლარამდე გაიზარდა, რაც 68 პროცენტით ზრდას ნიშნავს. ამ გაზრდილი

⁴¹ Holden J., "Energy Policy and The Obama Administration Some Choices and Challenges", 2009, Vol. 30:405 <https://www.eba-net.org/assets/1/6/7-16energy-policy-and-the-obama-administration091019.pdf>

⁴² Simon R., and Hayes D., "America's Clean Energy Success, by the Numbers", Center for American Progress, Washington, 29 June, 2017 <https://www.americanprogress.org/issues/green/reports/2017/06/29/435281/americas-clean-energy-success-numbers/>

ინვესტიციის შედაგად, მზისა და ქარის ენერჯის კვლევა, განვითარება და დემონსტრაცა 2008 წლიდან 2016 წლამდე 215 მლნ აშშ დოლარიდან გაიზარდა და 337 მლნ აშშ დოლარამდე ანუ დაახლოებით 57 პროცენტით გაიზარდა.

აშშ-ში ქარის ენერჯის წარმოება 2008-დან 2016 წლამდე, 55.4 მილიონი მეგავატი საათიდან 226.9 მლნ მეგავატი საათამდე გაიზარდა. (იხ. დანართი 3)

მზის ელექტროენერჯის წარმოება 2008 წლიდან 2016 წლამდე 864 ათასი მეგავატი საათიდან 36,754 ათასი მეგავატი საათში გაიზარდა.

ასევე 2008 წლიდან 2016 წლამდე ელექტროენერჯეტიკულ სექტორში CO₂- ის ემისია 23% -ით შემცირდა.

2.3 აშშ-ის ენერჯეტიკული სტრატეგია ტრამპის ადმინისტრაციის დროს

შეერთებული შტატები და ევროპა ბოლო ათწლეულების მანძილზე სხვადასხვა ენერჯო ტრანექტორიაზე იმყოფებოდნენ.⁴³ აუცილებელია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მისმა ევროპელმა მეგობრებმა და მოკავშირეებმა ეს "იდეოლოგიური" განსხვავებები უკან პლანზე გადაიტანონ და ეცადონ თავიანთი ენერჯეტიკული პოლიტიკის სინქრონიზაციას.

ბოლო დროს უკრაინაში განვითარებული მოვლენები და რუსეთის გაზრდილი ძალისხმევა გამოიყენოს მისი ენერჯეტიკული იარაღი არის ფაქტი, რომელიც გამოღვიძებას საჭიროებს აშშ-სა და ევროპის მხრიდან. ამას ემატება ევროპის გაზრდილი დამოკიდებულება რუსულ გაზზე. ჟან პიერ კლამადიუმ და ევროკავშირის წევრი ზოგიერთი ქვეყნების მთავრობებმა უკრაინის კრიზისამდე დაიწყეს საგანგაშო მდგომარეობაზე საუბარი. ისინი ითხოვდნენ რომ მომხდარიყო

⁴³ Simonyi An., "U.S. Interests in European Energy Security", Johns Hopkins University – Paul H. Nitze School of Advanced International Studies, Washington, 2014, pp. 2-3
https://www.foreign.senate.gov/imo/media/doc/Simonyi_Testimony1.pdf

შეთანხმება უკეთეს ენერგომიქსთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავდა როგორც ტრადიციულ წიაღისეულ საწვავს და ნახშირს, ისე ბირთვულ და ფიქალურ გაზს.

შეერთებული შტატები ყოველთვის იყო მთავარი მოთამაშე ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, როგორც მისი გაზმომარაგების დივერსიფიცირების გეგმის მხარდამჭერი. ტრამპის ადმინისტრაცია ხაზს უსვამს აშშ-ს, როგორც გაზის ექსპორტიორის როლს. ტონის ამგვარმა ცვლილებამ დაწყებული სტრატეგიულიდან დამთავრებული კომერციული მიდგომით შეიძლება გამოიწვიოს ევროკავშირის წევრების უნდობლობა, რაც ასევე ნეგატიურად აისახება ენერგოკავშირზე.⁴⁴

თავისი კამპანიის დროს დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-ს მიმართულება იქნებოდა ენერგოდომინირება, როგორც სტრატეგიული, ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის მიზანი. ეს განცხადება მყარდება ამერიკაში ნავთობის (78.6%) და გაზის (43%) წარმოების მნიშვნელოვანი ზრდით ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

2016 წელს აშშ მესამე ნავთობპროდუქტების მწარმოებელი ქვეყანა გახდა მსოფლიოში და ხოლო პირველი ბუნებრივი გაზის წარმოებაში. იმის გასარკვევად, თუ რას გულისხმობს "ენერგეტიკული დომინირება", შეგვიძლია დავვერდნოთ ენერგეტიკის მდივანის რიკ პერის, გარემოს დაცვის სააგენტოს ადმინისტრატორის სკოტ პრუიტისა და შინაგან საქმეთა მდივანის რაიან ზინკის ბოლოდროს დაწერილ მოსაზრებას, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ დომინირება ნიშნავს თვითმყოფად ერს, რომელიც არ არის დამოკიდებული სხვა ქვეყნებში გეოპოლიტიკურ არეულობაზე და იყენებს ენერგეტიკას როგორც ეკონომიკურ იარაღს.

⁴⁴ Giuli M., "Trump's gas doctrine: What does it mean for the EU?", European Policy Centre, Brussels, 26 Juli 2017 http://www.epc.eu/pub_details.php?pub_id=7869&cat_id=4

ტრამპის ენერჯოასისტენტებმა ხაზი გაუსვეს ამერიკის, როგორც გაზის ექსპორტიორი ქვეყნის როლს, ეს კი მნიშვნელოვანი თემაა ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნებისთვის, რადგან გაზრდილი კონკურენცია ნიშნავს ფასის დაწევას იმპორტირებულ გაზზე.

2017 წლის ივლისში ტრამპმა ვარშავაში სამი ზღვის ინიციატივის სამიტზე აღნიშნა იმ როლის შესახებ, რომელიც ამერიკის თხევად ბუნებრივ გაზს შეიძლება ქონდეს გაზპრომის დომინირების შემცირებაში აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე და დასძინა, რომ თხევადმა ბუნებრივმა გაზმა უკვე მიაღწია რეგიონამდე, კერძოდ პოლონეთში 2017 წლის ივნისში.

გაზის მიწოდების დივერსიფიკაცია დიდი ხანი ევროპის მიზანს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ვარშავაში ტრამპის მიერ გაკეთებული განცხადებები იმედის მომცემია. აშშ-ის მთავრობის პოზიცია, როგორც ჩანს, შეესაბამება წინა ადმინისტრაციის პოზიციას, რომელსაც მიხედვითაც წელიწადში 100 მილიარდ კუბურ მეტრამდე ექსპორტი იყო გათვალისწინებული და ლიცენზირებული. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პირველი ორი წლის განმავლობაში ენერჯეტიკის, კლიმატისა და გარემოსდაცვით რეგულაციებში დიდი ცვლილებები შეიტანა.⁴⁵

2017 წელს აშშ-ში ნავთობისა და გაზის წარმოება შესამჩნევად გაიზარდა. ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტოზე დაყრდნობით, აშშ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მსოფლიოში დამატებით გაზის წარმოების 40% უზრუნველყოფს.⁴⁶

⁴⁵ DiChristopher T., “Trump’s war on energy and environmental regulation is about to face the ‘Spanish Inquisition’”, Consumer News and Business Channel (CNBC), 2 January, 2019 [https://www.cnbc.com/2019/01/02/trumps-war-on-energy-environment-rules-to-face-spanish-inquisition.html?&qsearchterm=4\)Trump%E2%80%99s%20war%20on%20energy%20and%20environmental%20regulation%20is%20about%20to%20face%20the%20%E2%80%98Spanish%20Inquisition%E2%80%99](https://www.cnbc.com/2019/01/02/trumps-war-on-energy-environment-rules-to-face-spanish-inquisition.html?&qsearchterm=4)Trump%E2%80%99s%20war%20on%20energy%20and%20environmental%20regulation%20is%20about%20to%20face%20the%20%E2%80%98Spanish%20Inquisition%E2%80%99)

⁴⁶ Birol F., “ IEA Executive Director holds press conference with US Secretary of Energy”, International Energy Agency, Washington, 18 July, 2017

პრეზიდენტი ტრამპი ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით ეფექტური ენერგეტიკული ბაზრის შექმნას, რაც ქმნის სამუშაო ადგილებს და უზრუნველყოფს მომხმარებელისთვის ხელმისაწვდომ და საიმედო ენერგომომარაგებას. ეს კი აძლიერებს ამერიკის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას.⁴⁷

ტრამპის ადმინისტრაციამ მიიღო ზომები იმისთვის, რომ მოხდეს ამერიკის ენერგეტიკული რესურსების გამოყენება. მან დაამტკიცა Dakota Access და Keystone XL მილსადენები და დაუღალავად მუშაობდა ქვანახშირის ომის დასასრულებლად და მისი ძალისხმევის წყალობით, ქვანახშირის ექსპორტი 60% -ით გაიზარდა მისი პრეზიდენტობის პირველი წელს. ტრამპი მუშაობს იმ მძიმე ენერგეტიკული რეგულაციების შეცვლაზე, რომელთა სამიზნეც ენერგომწარმოებლები იყვნენ.

ენერგეტიკული რესურსები გეოპოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში ცენტრალურ ადგილს იკავებს. ტრამპის ადმინისტრაცია მუშაობს აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის ენერგეტიკული დომინირების შემცირებაზე და პარალელურტად პროცესში მნიშვნელოვან მოკავშირეებთან ათბობს ურთიერთობებს, რაც ამ პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია.⁴⁸

გარიგებამ, რომლის მიხედვითაც შეერთებული შტატები ამარაგებს 700 000 ტონა პენსილვანიის თერმული ქვანახშირით უკრაინის სახელმწიფო ელექტროენერჯის მიმწოდებელ კომპანიას (ცენტრენერგოს), ორივე მხარისთვის მომგებიანია, როგორც ეკონომიკურ ისე დიპლომატიურ ფრონტზე. ამერიკის შეერთებულ შტატებისთვის, ეს გარიგება მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც

<https://www.iea.org/newsroom/news/2017/july/iea-executive-director-holds-press-conference-with-us-secretary-of-energy--.html>

⁴⁷ The White House, “President Donald J. Trump Is Paving The Way For Energy Infrastructure Development”, Washington, 10 April, 2019: <https://www.whitehouse.gov/briefings-statements/president-donald-j-trump-paving-way-energy-infrastructure-development/>

⁴⁸ Power Technology, “Power plays: the role of energy in modern geopolitics”, 26 April, 2018 <https://www.power-technology.com/features/power-plays-role-energy-modern-geopolitics/>

ის ხელს უწყობს ახალი საერთაშორისო ბაზრების გახსნას ამერიკული ქვანახშირისთვის და ასუსტებს რუსეთის ენერგეტიკულ გავლენას რეგიონში.

2017 წელს ამერიკამ გარიგება დადო პოლონეთთანაც, ამჯერად თხევადი ბუნებრივი აირით მომარაგებასთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო დაეხმარა აშშ-ს იმ მიზნის მიღწევაში, რომ მიჩნეული იყო რუსეთის ალტერნატივად, რომელიც გაცილებით მეგობრულია რუსეთისგან განსხვავებით.

ენერგეტიკის საინფორმაციო ადმინისტრაციის თანახმად 2017 წელს შეერთებული შტატები პირველ ადგილზე იყო ნავთობისა და სხვა თხევადი საწვავის წარმოებაში (იხ. დანართი 4). 2018 წლის სექტემბრის მონაცემებით კი - აშშ სავარაუდოდ საუდის არაბეთსა და რუსეთს გადააჭარბებს ნედლი ნავთობის მოპოვებაში. აშშ-ს ნედლი ნავთობის მოპოვებისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტის ზრდა მოსალოდნელია 2019 წლისთვის.⁴⁹ (იხ. დანართი 5)

ასევე, ენერგეტიკის საინფორმაციო ადმინისტრაციის 2018 წლის ანგარიშით⁵⁰ აშშ-ს ნედლი ნავთობის მოპოვება ზოგადად გაიზრდება 2040-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ის 8.2 მლნ ბარელს გადააჭარბებს დღეში, რაც აშშ-ს მთლიანი პროდუქციის დაახლოებით 70% -ია. (იხ. დანართი 6)

⁴⁹ By OGJ Editors, "EIA lifts US crude oil production forecast for 2019", Oil&Gas Journal, Houston, 11 October, 2018: <https://www.ogj.com/articles/2018/10/eia-lifts-us-crude-oil-production-forecast-for-2019.html>

⁵⁰ U.S. Energy Information and Administration (EIA), "Tight oil remains the leading source of future U.S. crude oil production", Washington, 22 February, 2018 : <https://www.eia.gov/todayinenergy/detail.php?id=35052>

თავი მესამე

აშშ-ევროკავშირის შორის თანამშრომლობა ენერჯეტიკის სფეროში და რუსეთის ფაქტორი

ხანგრძლივი ათწლეულების შემდეგ, რომლის დროსაც ბევრი დასავლური ქვეყანა (ან ატლანტიკური) ეკონომიკის, გეოპოლიტიკისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით კომპრომისზე მიდიოდნენ ნავთობის იმპორტზე დამოკიდებულების გამო, ენერჯეტიკული ავტონომია მოიპოვეს.⁵¹

ენერჯეტიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს ეკონომიკური განვითარებისათვის. ენერგომომარაგების უსაფრთხოება, კონკურენტუნარიანი ბაზრების განვითარება და გარემოსდაცვითი გამოწვევების დაკმაყოფილება ევროკავშირის და აშშ-ის პოლიტიკურ ღონისძიებებში პირველ ადგილზე დგას.⁵² ევროკავშირი და ამერიკა შეთანხმდნენ ენერჯეტიკისა და ენერჯეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიული თანამშრომლობის განმტკიცების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს რეგიონალური სტაბილურობის გაზრდას, მიწოდების უფრო მეტ უსაფრთხოებას და, საბოლოოდ, ახალ ბიზნეს შესაძლებლობებს.

ამერიკელებსა და ევროპელებს განსხვავებული შეხედულება აქვთ იმის, შესახებ თუ რა როლს ითამაშებს ტრანსატლანტიკური ვაჭრობისა და საინვესტიციო პარტნიორობის (TTIP) მირე შემოთავაზებული თავისუფალი

⁵¹ Isbell P., and Pelegry EL., “Energy & Transportation in the Atlantic Basin”, Center For Transatlantic Relations, The Johns Hopkins University, Washington, 2017
<https://archive.transatlanticrelations.org/wp-content/uploads/2017/11/Energy-and-Transportation-in-the-Atlantic-Basin-Text-FINAL-final.pdf>

⁵² European Union Factsheet, “EU-US Strategic Energy Cooperation”, June, 2006, pg. 1
http://www.eeas.europa.eu/archives/docs/us/sum06_06/docs/energy.pdf

ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელიც ჯერ კიდევ მოლაპარაკების პროცესშია.⁵³ ამჟამად მხოლოდ და მხოლოდ ბუნდოვანი დისკუსიები მიმდინარეობს ოცდამეერთე საუკუნისთვის მორგებული კანონების მიღების შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება დასავლურ პრინციპებზე და წარმართავს ვაჭრობას ენერგეტიკის სფეროში.

თავი 3.1 ევროკავშირის ენერგეტიკული რესურსების დივერსიფიკაციის პოლიტიკა

ევროკავშირის დამოკიდებულება ენერგო იმპორტზე, კერძოდ ნავთობსა და გაზზე, აყალიბებს პოლიტიკურ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ენერგომომარაგების უსაფრთხოებასთან. მართლაც, 2016 წლისთვის ევროკავშირის ქვეყნის მთლიანი შიდა ენერჯის მოხმარების ნახევარზე მეტი (53.6%) იმპორტირებული წყაროებიდან მოდიოდა.⁵⁴ (იხ. დანართი 7)

2017 წელს, მყარი ქვანახშირის მოხმარებამ ევროკავშირში 236 მილიონი ტონას მიაღწია, აქედან კი მხოლოდ 33% წარმოება ხდებოდა, ხოლო 1990 წელს მისი წარმოება ის 74 %-ს შეადგენდა.⁵⁵ (იხ. დანართი 8)

ევროკავშირისთვის გამოწვევას წარმოადგენს რუსულ რესურსებზე დამოკიდებულების შემცირება.⁵⁶ ანალიტიკოსები თანხმდებიან, რომ ევროპას აქვს

⁵³ Livingston D., “The EU and the United States should focus more attention on how to include energy issues in the proposed Transatlantic Trade and Investment Partnership”, Carnegie Endowment for International Peace Europe Center, Brussels, 24 March, 2015 : <https://carnegieeurope.eu/strategieurope/59478>

⁵⁴ Eurostat statistic explained, Energy production and imports, July, 2018
https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Energy_production_and_imports

⁵⁵ Eurostat statistic explained, Coal production and consumption statistics, July, 2018
https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Coal_production_and_consumption_statistics

⁵⁶ EveryCRSReport, “ Europe’s Energy Security: Options and Challenges to Natural Gas Supply Diversification”, 5 November, 2015 (R42405)
https://www.everycrsreport.com/reports/R42405.html#_Ref432153655

ძალიან ცოტა ვარიანტი - ალტერნატივა, იმისთვის, რომ ჩაანაცვლოს რუსეთის გაზი მოკლევადიან პერიოდში. საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ევროპას შეუძლია დააჩქაროს კასპიის რეგიონის მილსადენების შემდგომი განვითარება რუსეთის გვერდის ავლით და ასევე, შეისწავლოს ენერჯის წყაროები ევროპაში, როგორც არის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი. ევროპულ ქვეყნებს შეუძლიათ გაზარდონ გათხევადებული ბუნებრივი გაზის იმპორტი ჩრდილოეთ აფრიკის, სპარსეთის ყურის ან შეერთებული შტატებისგან. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ასევე უნდა გაზარდონ ძალისხმევა ახალი შიდა ენერგორესურსების შესაქმნელად, როგორცაა ფიქალური გაზი და განახლებადი ენერჯია.

ევროკავშირის ენერგეტიკული სტრატეგიის ძირითადი კომპონენტია ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაცია და უკეთ ინტეგრირება. ევროკომისია და ანალიტიკოსები დიდი ხანია აცხადებენ, რომ ნაციონალურ ენერგოსექტორში სახელმწიფოს ძლიერი კონტროლი ხელს უშლის უფრო კონკურენტუნარიანი ევროპული ენერგეტიკული ბაზრის განვითარებას და ზოგიერთ წევრ ქვეყნებს ტოვებს დაუცველს დომინანტური ენერგეტიკული მიმწოდებლების მანიპულაციების მიმართ.

თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში წევრმა ქვეყნებმა უფრო აშკარად დაიწყეს საუბარი იმ საბაზრო რეგულაციების მიღებასთან დაკავშირებით, რომლებიც ენერგოსექტორში რუსეთის გავლენას შეამცირებს.

ევროკავშირის საბაზრო ლიბერალიზაციის მცდელობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ევროპული გაზსადენებისა და ელექტროგადამცემი ხაზების ურთიერთკავშირის გაზრდა. ბოლო წლებში ევროკავშირმა პრიორიტეტული ყურადღება დაუთმო მილსადენების და ელექტროგადამცემი ხაზების განვითარებას, რათა ევროპის ქვეყნებმა შეძლონ ენერგორესურსების

გაზიარება, კერძოდ, მიწოდების შემცირების შემთხვევაში, რომლებიც უარყოფითად აისახება ზოგიერთ წევრ სახელმწიფოზე.

ორი რეგიონს - ცენტრალურ აზიას და ჩრდილოეთ აფრიკას - დიდი პოტენციალი აქვთ აწარმოონ უფრო მეტი ბუნებრივი აირი, ვიდრე ახლა აწარმოებენ, რაც ამ ქვეყნებს მისცემს შესაძლებლობას ევროპას შესთავაზონ რუსული გაზის ალტერნატივა.

კასპიის რეგიონი მსოფლიო ბაზარზე ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი წყაროა. აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთის და უზბეკეთის ბუნებრივი გაზის რეზერვები დაახლოებით 14,700 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს.

დღესდღეობით, აშშ-ს ენერგეტიკული სტრატეგია ევროპის მიმართ არ ახდენს ფოკუსირებას ჩრდილოეთ აფრიკაზე, როგორც რუსეთის ბუნებრივი გაზის მიწოდების საპირწონე წყაროზე. მთლიანობაში, რეგიონში არსებულ ორ მიმწოდებელს ალჟირსა და ლიბიას, უკვე აქვთ ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურა ევროპაში როგორც მილსადენის, ისე გათხევადებული ბუნებრივი გაზის და აქვთ ბუნებრივი გაზის უზარმაზარი რესურსები და რეზერვები, რომელებიც შეიძლება განვითარდეს. ეგვიპტე, ევროპის ისტორიული ბუნებრივი აირის მიმწოდებელი, 2014 წლისთვის არ ახდენდა ბუნებრივი გაზის ექსპორტს შიდა პრობლემების გამო. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ მალიდან მომდინარე არასტაბილურობამ და ტერორიზმთან დაკავშირებულმა უსაფრთხოების პრობლემებმა და ლიბიის ირგვლივ არსებულმა კომფლიქტმა შესაძლოა შეზღუდოს რეგიონის ახალი და არსებული ენერგო რესურსების ექსპლუატაცია.

თუმცა, "Clingendael"-ის საერთაშორისო ენერგეტიკული პროგრამის დირექტორის კობი ვან დერ ლინდის თქმით, ახალი მილსადენების

მიმწოდებლებისგან (აზერბაიჯანი, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი, ერაყის ქურთისტანი, თურქმენეთი და ირანი) იმპორტი შეზღუდულია სხვადასხვა მიზეზებით, კერძოდ, პრობლემას წარმოადგენს ინტენსიური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რომელიც საჭიროა ევროკავშირის ბაზარამდე მისაღწევად და ასევე ევროკავშირის არც თუ დიდი სურვილი გააფორმოს გრძელვადიანი კონტრაქტი.⁵⁷ უფრო მეტიც, გეოპოლიტიკური ბარიერები კიდევ უფრო ართულებს ახალ პროექტებს. ნორვეგიას, ალჟირსა და ლიბიას არ შეუძლიათ მოახდინონ დამატებითი გაზის მიწოდება, ასე რომ მხოლოდ რუსეთს აქვს დამატებითი სათადარიგო პროდუქციის მოცულობა.

ბოლო ათწლეულის ანმავლობაში ევროკავშირის ენერგომომარაგების იმპორტზე დამოკიდებულება გაიზარდა. ამის ძირითადი მიზეზი იყო ევროკავშირის ნავთობისა და გაზის წარმოების განახევრება და ნახშირის წარმოების 17% -ით შემცირება.⁵⁸

ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკული სტრუქტურა განსხვავდება არა მხოლოდ რესურსების განსხვავებულობის გამო, არამედ წლების განმავლობაში მიღებული ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის მრავალფეროვნების გამო.

ამდენად, ელექტროენერჯის წარმოება საფრანგეთში ეფუძნება ბირთვულ ენერჯიას. ამის საპირისპიროდ, გერმანიამ გადაწყვიტა 2022 წლის ბოლოსთვის ბირთვული ენერჯიაზე უარი თქვას. გერმანიაში პოლიტიკური მხარდაჭერის შედეგად, 2015 წელს ელექტროენერჯის მთლიანი წილის 29.0%-ს მიაღწია განახლებადმა ენერჯიამ. ეს წარმოადგენს ხუთჯერად ზრდას 2000 წლიდან.

⁵⁷ European Parliament, Directorate General for Internal Policies Policy Department A: Economic and Scientific Policy, “EU Energy Independence, Security of Supply and Diversification of Sources”, Brussels, 6 February, 2017, pg. 14:

[http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/595367/IPOL_STU\(2017\)595367_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/595367/IPOL_STU(2017)595367_EN.pdf)

⁵⁸ Schiffer Hans-Wilhelm, “The Role of Coal in the Energy Supply of the EU-28”, World Coal Association, First published in Cornerstone, 29 March, 2017, Volume 4, Issue 3

<https://www.worldcoal.org/role-coal-energy-supply-eu-28>

ელექტროენერჯის წარმოებაში ჰიდროენერჯიას ყველაზე დიდი წილი აქვს ავსტრიასა და შვედეთს. ქარის ენერჯიას ძლიერი პოზიცია აქვს დანიაში. პოლანდიაში, გაზი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ენერჯის წარმოებისთვის. პოლონეთში კი ქვანახშირი დომინირებს 80%-ით. გაერთიანებულ სამეფოში 2015 წელს ელექტროენერჯის წარმოებაში ქვანახშირის წილი 22.6% იყო, რაც ნიშნავს, რომ 2014 წელთან შედარებით 7.1%-ით შემცირდა ელექტროსადგურების დახურვისა და კონვერტაციის გამო.

ევროკავშირ -28-ის მასშტაბით ქვანახშირის საერთო წარმოება 2015 წელს 100.3 მილიონი ტონა იყო. პოლონეთი ყველაზე მნიშვნელოვანი მწარმოებელი იყო 72.2 მილიონი ტონით, შემდეგ კი ბრიტანეთი 8.7 მილიონი ტონა, ჩეხეთის რესპუბლიკა 8.2 მილიონი ტონა, გერმანია 6.7 მილიონი ტონა, ესპანეთი 3.0 მილიონი ტონა. 2015 წელს ევროკავშირ-28-ში ყავისფერი ქვანახშირის წარმოების საერთო მოცულობამ 398.1 მლნ ტონა შეადგინა. გერმანია ევროკავშირის ყავისფერი ქვანახშირის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი. სხვა მთავარი მწარმოებლები არიან პოლონეთი (63.1 მლნ ტონა), საბერძნეთი (45.4 მილიონი ტონა), ჩეხეთი (38.1 მილიონი ტონა), ბულგარეთი (36.8 მილიონი ტონა), რუმინეთი (22.4 მილიონი ტონა), უნგრეთი (9, 2 მილიონი ტონა), სლოვენია (3.2 მილიონი ტონა) და სლოვაკეთი (1.8 მილიონი ტონა). (იხ. დანართი 9)

ქვანახშირის წილი ევროპის საერთო ენერჯომომარაგებაში 5% ან ნაკლები იქნება 2060 წლისთვის. (იხ. დანართი 10)

ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკია (ცნობილი როგორც ვიშეგრადის ჯგუფი, ან V4) რეგიონის მხოლოდ ოთხი ქვეყანაა, რომლებიც კვლავ ძლიერად დამოკიდებულნი არიან რუსეთზე, როგორც მათ ერთადერთ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელზე, მაგრამ სინამდვილეში რეგიონის არა მხოლოდ ეს ოთხი ქვეყანაა დამოკიდებული რუსეთზე. გამონაკლს წარმოადგენს

რუმინეთი, რომელიც მესამე ადგილზეა ბუნებრივი გაზის რეზერვებით ნიდერლანდებისა და გაერთიანებული სამეფოს შემდეგ.⁵⁹

V4 ქვეყნებიდან მხოლოდ პოლონეთს აქვს თავისი ბუნებრივი აირის რესურსები და უფრო მეტიც, ფიქალური გაზის ინტენსიური მოპოვების პროცესშია ჩართული. ცვლილებებს საერთაშორისო ბაზრებზე და ახალი მომწოდებლების გამოჩენას გათხევადებული ბუნებრივი აირის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მიწოდების დივერსიფიკაციაზე, თუმცა, ისევ უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ პოლონეთმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ მიმართულებით. უფრო მეტიც, 2015 წლის მსოფლიო ენერჯეტიკის მიმოხილვის მიხედვით, პოლონეთში ბუნებრივი გაზის წილი 15 პროცენტია, ყველაზე დაბალი V4- ს ქვეყნებს შორის: მეზობელ ჩეხეთის რესპუბლიკაში ის შეადგენს 17%-ს, სლოვაკეთში 22 პროცენტს, უნგრეთის წილი კი პოლონეთისაზე ორჯერ მეტია და შეადგენს 38 პროცენტს.

გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი გარანტია არის ეფექტური, ორგანიზებული გაზის შიდა ბაზარი, რომელსაც არ გააჩნია არასასურველი ფიზიკური ან მარეგულირებელი ბარიერები, იმისთვის, რომ გაზის მიწოდება მოხდეს ნებისმიერ მხარეს ნებისმიერ დროს, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა.⁶⁰ გაზის მიწოდების დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, ევროკავშირმა მნიშვნელოვნად გააძლიერა გაზის მიწოდების უსაფრთხოების სისტემა 2017 წელს მიღებული გაზმომარაგების უსაფრთხოების რეგულაციით.

⁵⁹ Stanev Y., "Emerging Europe's ongoing pursuit of energy independence", Emerging Europe, London, 7 December, 2018

<https://emerging-europe.com/intelligence/emerging-europes-ongoing-pursuit-of-energy-independence/>

⁶⁰ European Commission, Energy security Diverse, affordable, and reliable energy, 2018

<https://ec.europa.eu/energy/en/topics/energy-security>

სუფთა წყალბადი არის ერთ ერთი ხელმისაწვდომი ვარიანტი.⁶¹ ამას მოწმობს ენერგო ტრანზაქციის კომისიის ბოლო ანგარიშები და ევროკავშირის კლიმატური სტრატეგია 2050 წლისთვის. ავსტრიამ წამოაყენა „წყალბადის ინიციატივა“ ევროკავშირში პრეზიდენტობის პერიოდში. იაპონიამაც უკვე განაცხადა, რომ წყალბადი იქნება მათი პრიორიტეტი.

მხოლოდ ჰოლანდიაში 100 მეგავატიანი წყალბადის პროექტები დაანონსდა. რასაკვირველია, ამ პროექტების უმრავლესობა ჯერჯერობით კვლევის საგანია, რომელთაგანაც შეიძლება ყველამ ვერ მიაღწიოს საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილებამდე. მაგრამ ჩვენ უკვე შეგვიძლია დავინახოთ, რომ ქვეყნების მზარდი რაოდენობა განიხილავენ, თუ როგორ უნდა მოახდინონ პოზიციონირება წყალბადის გლობალურ ბაზარზე. ეს არ არის გამოწვეული მხოლოდ სუფთა წყალბადის უზარმაზარი პოტენციალით, რომელიც დაეხმარება ენერგეტიკული სისტემის დეკარბონიზაციას, არამედ ის დამატებით ხელს შეუწყობს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდას ნავთობისა და გაზის იმპორტის საჭიროების შემცირებით და ენერგოსისტემების ბალანსით.

სავარაუდოდ სუფთა წყალბადი ევროკომისიის ენერგეტიკული სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდება. მაგრამ ამის რეალობად ქცევას საკმაოდ დრო დაჭირდება. იმავდროულად, ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, რომ ბაზარზე არსებული იმპულსი გამოიყენონ, რათა ერთობლივად მოამზადონ კოორდინირებული პოლიტიკის ისეთი ქმედებები, რომლებიც შეეძლებათ ხელი შეუწყონ სუფთა წყალბადის განვითარებას.

⁶¹ Noé van Hulst, “Commentary: How Northwest Europe can shape a clean hydrogen market”, International Energy Agency (IEA), Paris, 13 December, 2018
<https://www.iea.org/newsroom/news/2018/december/how-northwest-europe-can-shape-a-clean-hydrogen-market.html>

ასევე, სხვა რეგიონებიდან ენერგომომარაგების წყაროების მოძიებისა და მტკიცე ურთიერთობის დამყარების გარდა, ექსპერტები მიუთითებენ რამოდენიმე დამატებით ფაქტორზე, რომლებმაც შესაძლოა რუსულ რესურსებზე ევროპული დამოკიდებულება შეამცირონ.⁶² ეს არის „რთულად განვითარებადი“ ბუნებრივი გაზის დეპოზიტების განვითარება, მათ შორის ფიქალური გაზის. ბუნებრივი აირის ბაზრის ზრდა და ევროპაში თხევადი ბუნებრივი გაზის ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ასევე ხელს შეუწყობს დივერსიფიკაციას. საბოლოოდ, ევროპაში ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების განვითარება, კერძოდ, ჰიდროენერჯის, ზღვის ენერჯის, ბიომასის, ქარის ენერჯის, მზის ენერჯის და გეოთერმული ენერჯის განვითარება, ხელს შეუწყობს ევროპის ენერგორესურსების შემდგომ დივერსიფიკაციას.

გარდა ამისა, ევროპული ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერება ფართოდ არის აღიარებული, როგორც მიწოდების და მოთხოვნის დაბალანსებაში გადამწყვეტი ფაქტორი.⁶³ დროის გარკვეულ პერიოდში, ერთ ევროპულ რეგიონს შეიძლება უფრო მცირე ქარის ენერჯია ჰქონდეს ვიდრე მეორეს, ან სხვა რეგიონი დომინირებდეს მზის ან ჰიდროენერჯის თვალსაზრისით, ძლიერი ქსელი კი ხელს შეუწყობს ლოკალურ ვარიაციებს.

⁶² Ratner M., Belkin P., James Nichol, Woehrel S., “Europe's energy security: Options and challenges to natural gas supply diversification”, Congressional Research Service, 20 August, 2013, pg. 28 https://www.researchgate.net/publication/292562359_Europe's_energy_security_Options_and_challenges_to_natural_gas_supply_diversification

⁶³ Lont Auke, “EU's internal energy market: Tough decisions and a daunting agenda”, Friends of Europe/Greening Europe, Discussion Paper, Summer, 2013, pg. 46 <http://fsr.eui.eu/Documents/JournalArticle/Energy/2013/2013GlachantThreeAges.pdf>

3.2 ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებაზე ფიქალური გაზის ეკონომიკური და პოლიტიკური ზემოქმედების მიმოხილვა

სიტუაცია ევროპის ენერგომომარაგებისა და უსაფრთხოების კუთხით მკვეთრად შეიცვალა ბოლო წლებში. ბევრი ახალი გამოწვევები წარმოიშვა გლობალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე - მათ შორის არაბული გაზაფხული, რუსეთსა და უკრაინას შორის კრიზისი, იაპონიაში ფუკუსიმას შემთხვევა, ისლამისტური ტერორიზმის ზრდა და ცვლილებები ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში, როგორც არის ჩინეთი.⁶⁴

კონტინენტის ძლიერი დამოკიდებულება რუსულ ენერგომომარაგებაზე, წიაღისეული საწვავის შიდა წარმოების შემცირება და სათბურის გაზის ემისიების პრობლემის გადაწყვეტა, არის მხოლოდ მცირე ჩამონათვალი იმ პრობლემებისა, რომლის წინაშეც ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის ლიდერები დგანან.

აშშ-ში ბუნებრივი აირისა და ნავთობის წარმოების ზრდა, რომელიც გამოწვეულია ფიქალური რესურსების ექსპლუატაციით, დაემთხვა ზემოთხსენებულ პრობლემებს და წარმოშვა სირთულეები გაზისა და ნავთობის ბაზრებზე. 2010 წლიდან 2015 წლამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთობის წარმოება ძალიან გაიზარდა. ხოლო 2005 წლიდან 2015 წლამდე ბუნებრივი გაზის წარმოების ზრდამ 50%-ს გადააჭარბა. ამ წარმოების ბუმის მიღწევა შესაძლებელი გახდა ისეთი ტექნოლოგიური მიღწევების საშუალებით, როგორებიცაა ჰორიზონტალური ბურღვის და ჰიდრავლიკური ტეხვის მეთოდები, რამაც ხელი შეუწყო ნავთობისა და გაზის ეფექტური მიღება ფიქალისა და სხვა მკვრივი გეოლოგიური წარმონაქმნებისგან.

⁶⁴Columbia Global Energy Dialogues, “The Role of US Shale in European Energy Security and Trade”, Columbia SIPA, Center on Global Energy Policy, 2016, pp. 1-4
<https://energypolicy.columbia.edu/sites/default/files/The%20Role%20of%20US%20Shale%20in%20European%20Energy%20Security%20and%20trade.pdf>

აშშ-ს ნავთობისა და გაზის წარმოების ზრდას ევროპისთვის მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. რუსეთსა და უკრაინას შორის დავებმა 2006 და 2009 წლებში ევროპაში ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტა გამოიწვია, რამაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ევროპის ენერგოუსაფრთხოების მოწყვლადობას, რომელიც განპირობებულია კონტინენტის მოსკოვზე ძლიერი ენერგოდამოკიდებულებით. ეს დამოკიდებულება არა მარტო ზღუდავს ევროკავშირის რეაგირების შესაძლებლობებს უკრაინაში რუსეთის მოქმედებებისადმი, არამედ აიძულებს ევროპას იყოს მიჯაჭვული რუსეთის სახელმწიფო გაზის კომპანია "გაზპრომს" და მიიღოს მისი ფასების პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, ევროპამ მიიღო მნიშვნელოვანი სარგებელი აშშ-ის ბუნებრივი აირის მიწოდების ზრდისგან.

2005 წლის აშშ-ის ენეგეტიკის საინფორმაციო ადმინისტრაციის (EIA) გათვლით 2015 წლისთვის ამერიკის გათხევადებული ბუნებრივი აირის იმპორტი 12 მლრდ. კუბურ ფუტს მიაღწევდა დღიურად, რაც იმას ნიშნავს, რომ გაუსწერებდა კატარს, ქვეყანას, რომელიც მსოფლიოში უდიდესი მწარმოებელია. გაზის ეს მოცულობა ძირითადად გადანაწილდა ევროპაზე. ამან ხელი შეუწყო კონტინენტზე გაზის ფასების შემცირებას და მიიყვანა ბევრი გაზის მსხვილი ექსპორტიორები, მათ შორის რუსეთი, ნორვეგია და ალჟირი - ვაჭრობის მაგიდასთან ევროპის მომხმარებლის წინაშე. მწარმოებლები იძულებულნი გახდნენ, რომ შეეთავაზებინათ სერიოზული ფასდაკლება და უფრო მოქნილი ხელშეკრულების პირობები მათი ევროპელი მომხმარებლისთვის.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ევროპაში გაყიდული გაზის 80 პროცენტი ათი წლის წინ ნავთობზე იყო ინდექსირებული, 2014 წლისთვის ხელშეკრულებების გადახედვამ კი გაზარდა გაზის გაყიდვების მოცულობა და ნავთობზე ინდექსირებული დარჩა 30%. გლობალური ენერგეტიკული პოლიტიკის ცენტრმა 2014 წელს ჩაატარა კვლევა „აშშ-ის გათხევადებული ბუნებრივი აირის ექსპორტის ზემოქმედება ევროპის უსაფრთხოებასა და რუსეთის

საგარეო პოლიტიკაზე", რომლის მიხედვითაც 2013 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ამ ფასდაკლებების გამო „გაზპრომის“ ზარალმა 5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

იმავდროულად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფიქალური ნავთობის რეზერვების განვითარებამ მკვეთრად გაზარდა მაღალი ხარისხის ნედლი ნავთობის წარმოება, რამაც მსოფლიო ნავთობის ბაზრებზე მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია. ნავთობის გლობალური ფასები 2014 წლის ივნისში შეადგენდა 115 დოლარს ბარელზე, ხოლო 2016 წლის იანვრისთვის 30 დოლარაზე ნაკლებს. იაფი შიდა ბუნებრივი აირისა და ნავთობის მარაგის არსებობამ აშშ-ში სამრეწველო და ნავთობქიმიური აღმავლობა გამოიწვია. ამერიკის შეერთებული შტატები გახდა ნედლი ნავთობის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი, რითაც კონკურენცია გაუწია ლათინური ამერიკისა და აფრიკის ბაზრებს.

ევროკავშირი ყოველწლიურად დაახლოებით 450 მილიარდი კუბურ მეტრ გაზს მოიხმარს, მაშინ, როცა წარმოება მხოლოდ 167 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს, ეს რაოდენობა კი მთლიანი მოხმარების მხოლოდ 38%.⁶⁵ გაზის იმპორტირება ხდება ან მილსადენების საშუალებით, (განსაკუთრებით რუსეთიდან და ნორვეგიიდან, საერთო რაოდენობის 86%) ან თხევადი ბუნებრივი გაზის სახით (მაგ. ალჟირიდან). მსხვილი მიმწოდებელი, რუსეთი, ევროკავშირში საწვავის 76% (ნავთობისა და გაზის ერთად) ექსპორტს ახდენს; შესაბამისად, დამოკიდებულება ორმხრივია.

ფიქალური გაზი წარმოადგენს იმ ახალ ენერგორესურსს, რომელსაც შეუძლია დააბალანსოს ძალაუფლება ეკონომიკურ ურთიერთობებსა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში . ფიქალური გაზი, რომლის შესწავლა და დამუშავებაც მოხდა

⁶⁵ Janda K., and Kondratenko Iv., “An Overview of Economic Impacts of Shale Gas on EU Energy Security”, Munich Personal RePEc Archive (MPRA), MPRA Paper No. 83945, 16 January, 2018, pp. 2-5
https://mpr.ub.uni-muenchen.de/83945/1/MPRA_paper_83945.pdf

ამერიკის შეერთებულ შტატებში, უხვად მოიპოვება ევროპის ქვეყნებშიც, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ გაზის ალტერნატივად, რომლის იმპორტირებაც ძირითადად რუსეთიდან ხდება, ეს პროცესი კი უზრუნველყოფს გამოიწვიოს ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას.

უნდა ითქვას, რომ ევროპის მზარდი დამოკიდებულება იმპორტზე მისი ურთიერთსაწინააღმდეგო ენერგეტიკული პოლიტიკით არის განპირობებული. კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული ამბიციური მიზნები და განახლებადი ენერჯის პოლიტიკა ნახშირბადის ატომური ელექტროენერჯის ნულოვან წარმოებასთან ერთად ზრდის ქვანახშირის დატვირთვას.⁶⁶ ამასთანავე, ეს კონტინენტი ხელიდან უშვებს შიდა ფიქალური რესურსების გამოყენების შანსს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ფიქალური გაზის წარმოება პოზიტიურ იმპულსს გვიჩვენებს, მისი ზრდის ტემპები დაგეგმილთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია.⁶⁷ ევროპაში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს ფიქალური გაზის წარმოება კომერციული გათვლით.

აშშ-ის ფიქალური გაზი სწრაფად ცვლის გლობალურ ენერგეტიკულ ბაზრებს, რადგან მისი ფასი არ არის მიბმული ნავთობზე.⁶⁸ 2012 წელს, აშშ-ში ბუნებრივი გაზის ფასი შეადგენდა გერმანიაში ბუნებრივი გაზის ერთ მეოთხედს. (იხ. დანართი 11)

⁶⁶ Koranyi D., and Brown N., “The Strategic Role of Natural Gas Trade in Transatlantic Relations”, Policy Brief, The German Marshall Fund of The United States, 28 April, 2016

<http://www.gmfus.org/publications/strategic-role-natural-gas-trade-transatlantic-relations>

⁶⁷ World Oil Magazine, “Gazprom BoD reviews prospects of shale gas, LNG sectors”, 22 November, 2018

<https://www.worldoil.com/news/2018/11/22/gazprom-bod-reviews-prospects-of-shale-gas-lng-sectors>

⁶⁸ Bērziņa K., “U.S. Shale Gas: What does it mean for Europe and Russia?”, Latvian Institution of International Affairs, 14 July, 2013

<http://www.lai.lv/viedokli/u-s-shale-gas-what-does-it-mean-for-europe-and-russia-297>

ფიქალური გაზის ბუმი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროპაში. პირველ რიგში, კატარის თხევადი ბუნებრივი გაზი, რომელიც გათვლილი იყო ამერიკაში იმპორტისთვის, გადაინაცვლა ევროპაში, რამაც გააფართოვა ბუნებრივი აირის იმპორტის წყაროები ევროპისთვის.

მეორე, აშშ-ს ბაზრებმა მსოფლიოს აჩვენა, რომ ბუნებრივი აირის ფასები არ უნდა იყოს მიბმული ნავთობის ფასებზე, რამაც საშუალება მისცა ევროპულ ქვეყნებს ხელახლა შეთანხმებულიყვნენ გრძელვადიანი კონტრაქტის პირობებზე მომწოდებლებთან. 2012 წელს, იტალიამ, პოლონეთმა და გერმანიამ მოიპოვეს უფრო ხელსაყრელი პირობები „გაზპრომისგან“.

მესამე, თავად ამერიკას აქვს შესაძლებლობა მოამარაგოს ევროპა თავისი იაფი თხევადი ბუნებრივი აირით.

ახალი გაზსადენი და გათხევადებული ბუნებრივი აირის პროექტები დიდ ყურადღებას ითხოვს, კერძოდ, ევროკავშირის იმპორტის მზარდი საჭიროების კონტექსტში: მისი წარმოება მცირდება; გრძელვადიანი კონტრაქტები (დაახლოებით 100 მილიარდი კუბური მეტრი) იწურება 2025 წლისთვის; აქედან გამომდინარე, ევროკავშირმა უნდა მოიძიოს დამატებითი იმპორტის წყაროები 2025 წლისთვის.⁶⁹ (იხ. დანართი 12)

ამერიკის შეერთებული შტატები გახდა ლიდერი ფიქალური გაზის რევილუციაში. მისთვის სარგებლის მომტანია, ის, რომ ჭაბურღილების უმრავლესობა მდებარეობს ქვეყნის შიგნით, უზარმაზარ ბუნებრივი ფიქალის წყალობით, რომელიც საშუალებას აძლევს ერს, რომ ყოველგვარი მოლაპარაკების

⁶⁹ Zeniewski P., “Commentary: A long-term view of natural gas security in the European Union”, International Energy Agency (IEA), 13 March, 2019
<https://www.iea.org/newsroom/news/2019/march/a-long-term-view-of-natural-gas-security-in-the-european-union.html>

და დიპლომატიური ძალისხმევის გარეშე დარჩეს სრული მოგება. ტექნოლოგიური მიღწევები უზრუნველყოფს აშშ-ში ბუნებრივი გაზისა და ფიქალური ნავთობის წარმოების სტაბილურ ზრდას.⁷⁰

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ევროპაში ფიქალური გაზის წარმოება შესაძლებელია ისევე იაფად, როგორც აშშ-ში. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მონაცემებით, ევროპაში წარმოების ხარჯები შეიძლება ორჯერ მაღალი იყოს გეოლოგიური და გეოგრაფიული განსხვავებების გამო.⁷¹

ევროკომისიის კვლევის მიხედვით, სხვადასხვა სახის გარემოსდაცვითი რისკების მართვის პოლიტიკა ფიქალური გაზთან მიმართებაში პრაქტიკულად არ მოქმედებს ენერჯის წარმოების, ენერგეტიკული ფასების ან ენერჯის მოთხოვნილებებზე და, შესაბამისად, ეკონომიკაზე გავლენას არ ახდენს. ამერიკის მიერ ფიქალური გაზის წარმოებამ კი უკვე შეამცირა გაზის გლობალური ფასები.

2019 წელს კი ევროკომისია იტყობინა, რომ 2023 წლისთვის აშშ-დან ევროკავშირში გათხევადებული ბუნებრივი გაზის იმპორტი წლიურ 8 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზრდება, რაც გასულ წელს იმპორტირებულ გაზზე ორჯერ მეტია.⁷²

2018 წელს აშშ-ის პრეზიდენტი დონოლად ტრამპი და ევროკომისარი ჟან-კლოდ იუნკერი შეთანხმდნენ, რომ ევროპა ამერიკული გათხევადებული ბუნებრივი აირის იმპორტს გაზრდიდა, თუ ტრამპი ევროპულ ავტომობილებზე ფასებს არ

⁷⁰ Zaremba H., “U.S. Shale Gas Booming Despite Global Glut”, Oil Price, 6 July, 2017

<https://oilprice.com/Energy/Natural-Gas/US-Shale-Gas-Booming-Despite-Global-Glut.html>

⁷¹ Erbach G., “Shale gas and EU energy security”, European Parliament Research Service (EPRS), December, 2014

[http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2014/542167/EPRS_BRI\(2014\)542167_REV1_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2014/542167/EPRS_BRI(2014)542167_REV1_EN.pdf)

⁷² ბიზნეს პრეს ნიუსი (BusinessPressNews), „ევროკავშირი ამერიკული თხევადი გაზის იმპორტს გააორმაგებს“, თბილისი, 5 თებერვალი, 2019: <https://www.bpn.ge/article/55546-evrokavshiri-amerikuli-txevadi-gazis-imports-gaaormagebs/>

მოუმატებდა. ამ შეთანხმების შედეგად, ამერიკული გათხევადებული ბუნებრივი აირის იმპორტი საგრძნობლად გაიზარდა და მხოლოდ მარტში 1.4 მილიარდ კუბური მეტრი შეადგინა.

3.3 რუსეთის ფაქტორი აშშ-ევროკავშირის ურთიერთობებში

როგორც უკვე აღვნიშნავდით, ენერგეტიკა კიდევ ერთხელ გახდა პოლიტიკის მძევალი: პოლიტიკური ამბიციების, ცრუ მიზნებისა და კონიუნქტურული გადაწყვეტილებების. ასეთ პირობებში ენერგეტიკას უფრო და უფრო გაუჭირდება თავისი ძირითადი ამოცანის შესრულება - შეფერხებების გარეშე, საიმედოდ და ეფექტურად უზრუნველყოს მომხმარებელი საწვავით და ენერგორესურსებით. ბუნებრივია, ყველა ეს ცვლილებები სრულად შეეხო რუსეთსაც, რომელსაც აქვს პრეტენზია ენერგეტიკული ზესახელმწიფოს როლსა და სტატუსზე (რამდენად სამართლიანია ეს პრეტენზია - ეს სხვა საკითხია).⁷³

რუსეთის ისტორიული და ეკონომიკური განვითარების თავისებურებები, დაუსრულებელი ეკონომიკური რეფორმები და უკვე ტრადიციად ქცეული ეკონომიკის მოდელი - ნედლეულის ექსპორტი, თანამედროვე პოლიტიკური და სამოქალაქო ინსტიტუტების განუვითარებლობის ფონზე, რუსული ენერგეტიკის გეოპოლიტიკაზე დამოკიდებულებას საკმაოდ მტკივნეულს ხდის.

ახალი გეოპოლიტიკური რეალობების ფონზე დიდი პოლიტიკა განსაზღვრავს ენერგეტიკული თანამშრომლობის ვექტორს, უფრო ზუსტად კი - რუსეთის ენერგეტიკულ ურთიერთობებს პრაქტიკულად ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით დასავლეთთან (ევროკავშირსა და აშშ-სთან) და აღმოსავლეთთან (ჩინეთთან, იაპონიასთან და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი აზიის სხვა ქვეყნებთან). ეს

⁷³ Мастепанов А.М., “Энергетическое Сотрудничество в Новых Геополитических Условиях: Некоторые Оценки Перспективы”, Энергетика и Геополитика, Выпуск 1, 2015, стр..13-14
Источник: http://www.energystrategy.ru/press-c/source/Mastepanov_ep1-15.pdf

განსაკუთრებით ცხადად ჩანს ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებში, რომლებიც ტრადიციულად იყვნენ და არიან ურთიერთდამოკიდებული პარტნიორები ენერგეტიკის სფეროში, ხოლო მათი ეკონომიკა ფაქტიურად ურთიერთინტეგრირებულია. ამიტომაც, ურთიერთნდობაზე დამყარებული მყარი, საიმედო, წინასწარგანსაზღვრული ურთიერთობები ენერგეტიკის სფეროში რუსეთსა და ევროკავშირს შორის არის უმნიშვნელოვანესი პირობა ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა.

ამ ურთიერთობების აწყობაზე ორივე მხარის მხრიდან მრავალი წლის მანძილზე დიდი სამუშაო იყო ჩატარებული. შეთავაზებული და რეალიზებული იყო ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღების უნიკალური მექანიზმი - ენერგეტიკული დიალოგი რუსეთსა და ევროკავშირს შორის, რომელიც პირველივე დღიდან გახდა ევროპის კონტინენტზე ენერგეტიკული უსაფრთხოების, როგორც ენერგორესურსების მომხმარებლის (ევროკავშირის ქვეყნები), ასევე მისი მწარმოებლისა და ექსპორტიორის (რუსეთის) სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

მიუხედავად ამისა, ენერგოდიალოგი ბოლო წლებში მიდიოდა საკმაოდ რთულ პირობებში, რადგან 2000-იანი წლების პირველ ათწლეულში ევროკავშირის პოზიცია ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში მკვეთრად ორმაგი და არათანმიმდევრული იყო რუსეთთან მიმართებაში. ერთის მხრივ, ევროკავშირი აკრიტიკებდა რუსეთს მის უუნარობაში სრულად დაეკმაყოფილებინა ევროპის გაზრდილი მოთხოვნილება საწვავით და ენერგიით, მეორეს მხრივ კი ცდილობდა შეეზღუდა რუსული ენერგომატარებლების გატანა ევროპულ ბაზარზე.

ამის შემდეგ წარმოებულმა რუსულ-უკრაინული გაზის ომებმა (2006, 2009 და ა.შ.) არამარტო სერიოზულად შეარყია ევროპაში რუსეთის, როგორც ენერგორესურსების საიმედო ექსპორტიორის ავტორიტეტი, არამედ ევროპა მიიყვანა რუსეთის გაზზე საკუთარი დამოკიდებულების გაცნობიერებამდე და ამ დამოკიდებულებიდან თავის დაღწევის მცდელობებამდე.

ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობების გააზრების საფუძველზე, ევროკავშირმა თავისი ძალისხმევა მიმართა ენერგორესურსების მიღების ალტერნატიულ გარე წყაროების ძიების გზებსა და მარშრუტების დივერსიფიკაციაზე, კერძოდ, ნავთობისა და გაზის მარშრუტების მოძიებაში. რუსეთის ფედერაციამაც მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა თავისი ენერგორესურსების მიწოდების გზების დივერსიფიკაციისათვის. მთელ რიგ პოლიტიკურ განცხადებებს მოჰყვა პრაქტიკული ზომებიც ამ სფეროში. ჯერ კიდევ 2004 წლის აპრილში ევროკავშირმა მიიღო დირექტივა 2004/67/EC ბუნებრივი გაზის მიწოდების უზრუნველყოფის უსაფრთხოების ზომების შესახებ.

2006 წლის დეკემბერში ევროკომისიამ ევროკავშირის ქვეყნებს მოუწოდა, გაემყარებინათ ურთიერთობები ევროპის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებთან, რომლებიც ასრულებენ მთავარ როლს მომავალში ენერგომატარებლების ევროპის ბაზარზე მიწოდების საქმეში.

2007 წლის მარტში ევროკავშირი იღებს კურსს "ენერჯის მატარებლების ტრანსპორტირების წყაროების და მარშრუტების განმტკიცების მიზნით ცენტრალური აზიის, კასპიის და შავი ზღვის რეგიონებთან ურთიერთობების გაღრმავებაზე". ამას მოჰყვა მესამე პაკეტი (Third Energy Package – TEP), რომელიც ევროპარლამენტმა მიიღო 2009 წლის 13 ივლისს და ძალაში შევიდა 2009 წლის 4 სექტემბერს. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ევროკავშირის აღნიშნული ქმედებები მიმართულია ბუნებრივი გაზის გარე მომწოდებლების, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის დაზარალებაზე. პრინციპში, ევროკომისიის ლოგიკა სხვაა - მოხდეს ევროკავშირის გაზის საერთო ბაზრის ლიბერალიზაცია, მოქნილობა და კონკურენტუნარიანობა. მაგრამ ენერგოუსაფრთხოების, ენერგომომხმარებლის პოზიციიდან ცალმხრივმა გაგებამ და მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვია ურთიერთობების გამწვავება რუსეთსა და ევროკავშირს შორის.

გეოპოლიტიკური არათანხვედრა, დროდადრო კი რუსეთსა და ევროკავშირს შორის მიზნებისა და ინტერესების განსხვავება გაღრმავდა ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური კონსტრუქციის ცვლილებების პროცესში.

დაგროვილი დაღლილობა, ერთმანეთის მიზნების გაუგებრობა, ამ მიზნების მიღწევის გზების გამო იმედგაცრუებები, კრიტიკულ დონემდე ურთიერთნდობის შემცირება და არცთუ იშვიათად მიმდინარე სიტუაციის ანალიზის ურთიერთგამომრიცხავი დასკვნები უფრო და უფრო მეტად აისახა მათ შორის ენერგეტიკულ ურთიერთობებზე. 2014-2015 წლებში დიდი პოლიტიკის ზემოქმედებამ რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკულ ურთიერთობაზე აპოგეას მიაღწია და მკვეთრად გაძლიერდა სხვადასხვა არხებით: სახელმწიფოთა ლიდერების ურთიერთობები, რუსეთის მიმართ ამერიკის, ევროკავშირისა და მათი მოკავშირეების მხრიდან სანქციების დაწესება, ევროკავშირის მიერ "სამხრეთის ნაკადის" პროექტის ფაქტიური დაბლოკვა და რუსეთის მიერ ევროპისთვის განკუთვნილი გაზის რესურსების დემონსტრაციული გადამისამართება თურქეთზე. შედეგად, ენერგო დიალოგი გაიყინა.

რუსულ-ამერიკული ბრძოლის, რომელიც ვრცელდება ცენტრალური აზიიდან სამხრეთ ამერიკამდე და კავკასიიდან ახლო აღმოსავლეთამდე, ძირითადი სფეროა ენერგეტიკა.⁷⁴ როგორც ცნობილია, რუსეთის ბიუჯეტის შემოსავლის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ენერგო რესურსების ექსპორტიდან მიღებული თანხები. მათი წყალობით პუტინმა 2000-იანების დასაწყისში დაფარა საგარეო და შიდა ვალეები და დაიწყო უფრო აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება. ეს გარემოება დიდ წინააღმდეგობაში მოდიოდა აშშ-ს ინტერესებთან. დღესდღეობით საუბარია ახალი ცივი ომის შესახებ: რუსეთი ცდილობს ენერგეტიკული კარტის გამოყენებას, აშშ კი ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუშალოს რუსეთს ამ მიმართულებით.

⁷⁴ Кемалоглу Ил., “Энергетические войны: США — Россия (Anadolu, Турция)”, Россия Сегодня, 27 Марта, 2019

Источник: <https://inosmi.ru/politic/20190327/244823879.html?fbclid=IwAR18OFJLzj8BHSXHTs1o9pATAqXzXrwEnkINtGzt13NNRLYNnEPqCXhC2Q>

ენერგეტიკის სფეროში აშშ-სა და რუსეთს შორის მთავარი ბრძოლა მიმდინარეობს ევროპაში. ევროკავშირი 40%-ით დამოკიდებულია რუსულ გაზზე (ზოგიერთი ქვეყანა კი მთლიანად დამოკიდებულია რუსულ გაზზე, რომელიც მათთან უკრაინის გავლით მიედინება). ერთის მხრივ ამ მდგომარეობას რუსეთისთვის მოაქვს დიდი შემოსავლები, ხოლო მეორეს მხრივ, აკავებს ევროპულ ქვეყნებს, მთლიანად გაწყვიტონ კავშირი მოსკოვთან, მაშინაც კი როდესაც ურთიერთობები დასავლეთსა და რუსეთს შორის ძალიან დაძაბულია.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის გამო დასავლეთმა მის წინააღმდეგ მრავალმხრივი სანქციები დააწესა, ენერგეტიკის სფეროში მხარეებს შორის თანამშრომლობა არ შემცირებულა (და შესაბამისად, რუსეთი არ დასჯილა ისე, როგორც ეს აშშ-ს სურდა), უფრო პირიქითაც კი - არის, არსებობს მცდელობები ახალი პროექტების დაწყებისაც კი.

დღესდღეობით რუსული გაზი ევროპას მიეწოდება დასავლეთის დერეფნით უკრაინის გავლით, გაზსადენ "იამალ-ევროპის" მეშვეობით, ბელორუსიაზე გავლით და გაზსადენ "ჩრდილოეთის ნაკადით". უპირველეს ყოვლისა, უკრაინასთან დაძაბული ურთიერთობებისა და ენერგოსექტორში არსებული პრობლემების გამო რუსეთს სურს კიდევ ორი მნიშვნელოვანი მილსადენის აშენება: "ჩრდილოეთის ნაკადი 2" და "თურქული ნაკადი". აშშ-ს კი არ უნდა ამ რუსული პროექტების, განსაკუთრებით კი პირველი პროექტის განხორციელება და შესაბამისად, ზეწოლას ახდენს ევროპის ქვეყნებზე. ამასთანავე ევროპის ქვეყნებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს რუსეთის შემცვლელის პოვნა. ხოლო პროექტი "ნაბუქო", რომელიც რამდენიმე წლის წინ დღის წესრიგში იყო და ევროპაში ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის გაზის ტრანსპორტირება უნდა განეხორციელებინა, დიდი ხანია განუსაზღვრელი დროით გადაიდო.

დღეისათვის აშშ-ს მოთხოვნას, შეეწყვიტათ რუსეთიდან გაზის შესყიდვა, მხოლოდ პოლონეთი დაეთანხმა, რომელიც ევროპაში ამერიკის "ტროას ცხენს" წარმოადგენს. პოლონეთი, რომელსაც რუსეთთან მთელი ისტორიის მანძილზე აქვს

პრობლემები (მაგალითად, უკრაინის ტერიტორიებისთვის ბრძოლა), 2022 წლიდან დაიწყებს ამერიკიდან გათხევადებული ბუნებრივი აირის შექმნას (ამ დროისათვის ამოიწურება პოლონეთის კონტრაქტი "გაზპრომთან").

შეერთებული შტატები გამუდმებით სთავაზობს სხვა ევროპულ ქვეყნებსაც თხევად გაზს და ამრიგად ცდილობს რუსეთისთვის შემოსავლების შეზღუდვას, ახალი ბაზრების დაპყრობას, რუსეთზე ევროკავშირის ქვეყნების ენერგოდამოკიდებულების შეამცირებას და შესაბამისად, აიძულოს ევროპის ქვეყნები, უფრო მკაცრი პოლიტიკა გაატარონ რუსეთთან მიმართებაში.

საინტერესოა, რომ აშშ, რომელიც ცდილობს შეავიწროვოს რუსეთის ენერგეტიკული ბაზარი და ახორციელებენ ევროკავშირის ქვეყნებზე ზეწოლას, რათა მათ უარი თქვან რუსული გაზის შექმნაზე, ვენესუელის წინააღმდეგ მათ მიერვე დაწესებული სანქციების გამო დაიწყეს რუსეთიდან ნავთობის შექმნა. აშშ-ს რუსეთთან მიმართებაში პოლიტიკის კიდევ ერთი წინააღმდეგობრივი მხარეს წარმოადგენს ის, რომ ეს პოლიტიკა რეალურად ხელს უწყობს რუსეთის გაბატონებას ენერგეტიკულ სფეროში. ვენესუელისა და ირანის მიმართ დაწესებული სანქციები ბევრი თვალსაზრისით რუსეთისთვის ხელსაყრელია (ენერგეტიკის სფეროში როგორც ფასების ზრდის, ასევე რუსეთის შეუცვლელი თვალსაზრისითაც).

გარდა ამისა, ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის უზრუნველყოფის შეიძლებლობა, შუა აზიის რესპუბლიკებში ინფრასტრუქტურის არარსებობა (მიუხედავად უზარმაზარი ენერგორესურსების მარაგის არსებობისა, თურქმენეთმა და უზბეკეთმა ვერაფრით ვერ შეძლეს თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება), პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი ევროკავშირის ქვეყნებში, გაზსადენი მილების მაღალი ღირებულება და ის ფაქტი, რომ აშშ, მიუხედავად მისი ანტირუსული განწყობებისა და ზეწოლისა, ვერ სთავაზობს ევროკავშირის ქვეყნებს რუსეთის ალტერნატივას - ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს რუსეთის გაბატონებას ენერგეტიკულ სფეროში. ამ თვალსაზრისით, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი

პრობლემა (აშშ-ს ზეწოლის გარდა), რომელიც რუსეთს ემუქრება, არის საკუთარი ენერგორესურსების ამოწურვის რისკის ფაქტორი. ამდენად, დადასტურებული კვლევების საფუძველზე, ვარაუდობენ, რომ რუსეთში ნავთობის მარაგი ამოიწურება 2050 წლისთვის, ხოლო გაზის-2100 წლისთვის. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, თუ რუსეთი ერთის მხრივ წურავს საკუთარ ენერგორესურსების მარაგს, მეორეს მხრივ ცდილობს მიიღოს საბადოების ექსპლუატაციის უფლება შუა აზიაში, კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთსა და ვენესუელაშიც კი. გარდა ამისა, რუსეთი, ისევე როგორც აშშ, უფრო და უფრო მეტ ყურადღებას ანიჭებს ფიქალური გაზის მოპოვებას.

თურქეთმა კი ამ სიტუაციაში დაამყარა კარგი ბალანსი როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკაში. ანკარა არ იკავებს თავს მოსკოვთან ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობისგან. თურქეთი, რომელიც "ცისფერი ნაკადის" შემდეგ თავის ტერიტორიაზე ააშენებს "თურქეთის ნაკადსაც", ერთის მხრივ, მოიშორებს პრობლემებს სატრანზიტო ქვეყნების მხრიდან და მეორეს მხრივ, ამ პროექტისა და სხვა პროექტების განხორციელებით გახდება "ენერგეტიკული ჰაბი, ცენტრი". თურქეთი ენერგეტიკულ სფეროში რუსეთთან ერთად თანამშრომლობს ისეთ ქვეყნებთან, როგორცაა აზერბაიჯანი, კატარი, ირანი, აშენებს ატომურ ელექტროსადგურს, შეძლებისდაგვარად ეძებს ენერჯის ალტერნატიულ მიმწოდებლებსა და წყაროებს, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯებია ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით. სხვაგვარად ეს ნიშნავს, რომ ანკარა წარმატებით იყენებს რუსეთ-უკრაინის კრიზისს, რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკულ დაპირისპირებას და ზეწოლის პოლიტიკას, რომელსაც იყენებს აშშ - ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში. ყველაფერი ეს კი ხელს უწყობს, რომ თურქეთი თანდათანობით მიიწევს წინ ენერგეტიკულ სფეროში მნიშვნელოვან მოთამაშედ ჩამოყალიბების გზაზე.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის ცალსახად მზარდი პოლიტიკური კონკურენცია. ამ კონკურენციის ესკალაცია

წარმოადგენს მრავალი ლოკალური კონფლიქტის კატალიზატორს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს გეოპოლიტიკური ბალანსის დარღვევა გლობალური მასშტაბით.

მთავარ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ფაქტორებს, რომელიც განსაზღვრავს ენერგეტიკულ სფეროში ამერიკა-რუსეთის ურთიერთმოქმედების ხასიათს და შეუძლია გამოიწვიოს როგორც ენერგოდიპლომატი, ასევე ენერგოკონკურენცია ამ ქვეყნებს შორის, მიეკუთვნება შემდეგი ფაქტორები:⁷⁵

- ენერგოდამოკიდებული ქვეყნების რიცხვის განუხრელი ზრდა, რაც იწვევს ენერგორესურსების წყაროებზე წვდომისათვის მძაფრ ბრძოლას, მათ შორის გრძელვადიანი იჯარის მოპოვებისათვის ან საბადოების ექსპლუატაციაზე ნებართვის მიღებას ექსპორტიორი ქვეყნების მთავრობებისგან.

- სახელმწიფოებს შორის მძაფრი კონკურენცია ენერგეტიკულ სფეროში ლიდერობისათვის როგორც რეგიონალურ, ისე სუბრეგიონალურ დონეზე და ენერგორესურსების მიწოდების ფორმირებასა და განაწილებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობისთვის, ფასწარმოქმნაზე გავლენისათვის, ასევე ენერგომატარებლების მოპოვების მოცულობისა და ტრანსპორტირების სასურველი მიმართულებით მართვის მოსაპოვებლად;

- საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების მიერ საკუთარი ენერგორესურსების დამოუკიდებლად მართვის უფლებების დაცვა, ექსპორტიორი ქვეყნების მიერ სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვა ენერგომატარებლების ექსპორტით მიღებული შემოსავლების განაწილების სფეროში.

⁷⁵ Слободян Н., “*Энергетический фактор в российско-американских отношениях: энергодиалог или энергоконкуренция*”, Киевский национальный университет имени Тараса Шевченко, 2014, (PDF), გვ. 167

ამჟამად, რუსეთის ფედერაცია და ამერიკის შეერთებული შტატები თანაბრად ინაწილებენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან როლს მსოფლიო ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

ამერიკა-რუსეთის ენერგეტიკულ სფეროში ურთიერთობის ძირითადი დესტაბილიზაციის ფაქტორს წარმოადგენს ნავთობის ბაზარზე ფასების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული უთანხმოება. ამერიკა, როგორც ყველაზე მსხვილი ენერგომომხმარებელი ცდილობს ფასების დაწევას, ხოლო რუსეთი, რომლის ბიუჯეტის შვესების ძირითად წყაროს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები, ცდილობს შეინარჩუნოს მაღალი ფასები ენერგობაზარზე.

